№ 9—10 1883—1899 25 მაისი

ეკუმენი

ოფიციალური განყოფილება.

უმაღლესი ჯილდოები

ხელმწიფე იმპერატორმა, რუსეთის საიმპერატორო და სამეფო ორდენების კანცლერის მიერ მირთმეულის წმ. ანნას ორდენის საკავალერო საბჭოს ყოვლად უქვეშევრდომილეს მოხსენების თანახმად, ყოვლად უმოწყალესად ინება, 3 თებერვალს 1899 წელსა, ბოძება წმ. ანნას მესამე ხარისხის ორდენისა დასაჯილდოებლად ერთგული სამსახურისთვის თორმეტი წლის განმავლობაში (იმ თანამდებობაში, რომელნიც მოხსენებულნი არიან მე-15 მუხ. 459 სტ. ორდენთა შესახებ ტ. I კრებული სამოქ. კანონთა, გამოც. 1892 წლ.) ეკლესიების მღვდლებისთვის: ქ. თბილისის კუკიის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის მღვდლის სოფრონ შოშიაშვილისთვის, იმერეთის ეპარქიის, სოფლ. საქარას მღვდლის დუკა ჭიბაშვილისთვის, იმავე ეპარქიის ზედა-მაღლაკის მღვდლის ტარასი ტუეშელაშვილისთვის; სახალხო სკოლებში ერთგულ სწავლებისთვის ოც-და-ხუთის წლის განმავლობაში; ამიერ კავკასიის საოსტატო სემინარიის ეკლესიის დეკანოზის ლაზარე ტურიევისათვის, ეკლესიების მღვდლების: ეისკის ყაზახთა რაზმის ეკლესიისა პეტრე ტიაჟოლოვისთვის და ქალაქ ტფილისის ავლაბრის წმ. მარინეს ეკლესიის მღვდლის მიხეილ ბერძენიშვილისთვის.

ხელმწიფე იმპერატორმა, რუსეთის საიმპერატორო და სამეფო ორდენების კანცლერის მიერ მირთმეული წმ. ანნას ორდენის საკავალერო საბჭოს ყოვლად უქვეშევრდომილესის მოხსენების თანახმად, ყოვლად უმოწყალესად ინება, 3 თებერვალს 1899 წ., დასაჯილდოებლად თორმეტი წლის განუწყვეტლივ და უმწიკვლო სამსახურისა არა ნაკლებ მერვე კლასის თანამდებობაში წმ. ანნას მესამე ხარისხის ორდენის ბოძება: თელავის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის თანაშემწის, კოლლეჟსკი სოვეტნიკის იაკობ მარშაკისათვის, სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის თანაშემწის, კოლლეჟსკი სოვეტნიკის დავით ალადაშვილისთვის და იმერეთის საეპარქიო სამწერლოს მდივნის, კოლლეჟსკი ასესორის ერასტი თუთბერიძისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმაღლესი ჯილდოები.

ხელმწიფე იმპერატორმა, სინოდის ობერ პროკურორის ყოველად უქვეშევრდომილესი მოხსენებისამებრ, თანახმად უწმიდესი სინოდის დადგენილობისა, ამა მაისის 6, უმოწყალესად ინება დაჯილდოება სასულიერო პირთა წარჩინების ქვემოთ აღნიშნული ნიშნებითა:

ა) ეპარქიის უწყებაში სამსახურისათვის:

წმ. ვლადიმირის მესამე ხარისხის ორდენითა: ქალაქ გორის, ოქონის მღვთის-მშობლის ეკლესიის დეკანოზი გრიგოლ გამბარაშვი; ბ) წმ. ვლადიმირის მეოთხე ხარისხის ორდენით: ქ. თბილისის, აისორთა წმ. თომას ეკ. დეკანოზი დავით გურგენიძე: ქალაქ ქუთაისის საკათედრო სობოროს დეკანოზი იოსებ კიკაჩეიშვილი; გ) წმ. ანნას მეორე ხარისხის ორდენით: ქ. სიღნაღის მიხაილ მთავარ-ანგ. ეკ. დეკანოზი სიმონ ბეგიევი; სოფ. ყვარელის, თელავის მაზ. დეკ. ნიკოლოზ სუტიევი; სოფ. სვირის, ქუთ. მაზრ., ეკ. დეკანოზი მიხეილ მჭედლიძე; ალავერდის წმ. გიორ. ეკ., სენაკის მაზრ., დეკ. გიორგი ბერიძე; დ) წმიდა ანნას მესამე ხარისხის ორდენით: ქ. ქუთ., საკათედრო სობოროს დეკანოზი გაბრიელ ცაგარეიშვილი; დაბა ზუგდიდის, ზუგდ. მაზრ., ეკ. მღვ. ანდრია ვახანია; ქ. თბილისის წმ. ნიკოლოზის ეკ. მღვდ. სოლომონ შოშიევი.

განჩინებანი უწმ. სინოდისა

დაჯილდოებისათვის სასულიერო წოდების პირთა სასულიერო უწყებაში სამსახურისათვის:

უქაზისამებრ მათი იმპერატორებითი უდიდებულესობისა უუწმიდესმა ჲ უუმართებულესმა სინოდმა მოისმინა: წარდგინებანი ეპარქიების მღვდელ-მთავრებისა, მოსკოვის სინოდალნი კანტორისა და სასახლის სამღვდელოების გამგის დაჯილდოებისათვის, მათდამი რწმუნებულ სასულიერო პირთა, სასულიერო უწყებაში სამსახურისათვის. ბრძანეს: საფუძველთა ზედა მოხდენილ მსჯელობათა, უწმ. სინოდი განაწესებს: ამასთანავე წარმოგზავნილ სიასა შინა მოხსენებულნი სასულიერო პირნი დაჯილდოებულ იქმნენ სიასა შინა აღნიშნული ჯილდოებით და ეპარქიის მღვდელთ-მთავრების, მოსკოვის სინოდალნი კანტორის და სასახლის სამღვდელოების გამგის გამოსაცხადებლად დაჯილდოებულ პირთა სია დაბეჭდილ იქმნეს „საეკლესიო უწყებებში“.

სია სასულიერო წოდების პირთა, რომელნიც დაჯილდოებულ იქმნენ მათ იმპერატორებით უდიდებულესობათა დაბადების დღეს სასულიერო უწყებაში სამსახურისათვის.

საქართველოს საექსარხოსოში. ენქერით—წევრი საქართველო-იმერეთის სინოდალნი კანტორისა დეკანოზი ესტატე ელიევი; სუხუმის ეპარქიის ახალ ათონის სიმონ კანანელის მონასტრის ხაზინადარი ბერ-მონაზონი ილარიონი; 2) არქიმანდრიტის ხარისხით — იოანნე ნათლისმცემლის უდაბნოის, ოზურ. მაზ გურია-სამეგრელოისა, იგუმენი არსენი; 3) დეკანოზობის ხარისხით — ქ. თბილისის, კუკიის ალექსანდრე ნეველის ეკლესიის მღვდელი ევგენი ზვერევი; ზემო ჭალის სოფლის, გორის მაზრისა, მღვდელი სუხიევი; სოფლის ყვარელის, დუშეთის მაზრისა, მღვდელი იოანნე კეზელი; სოფ. დირევის ეკლესიის, გორის მაზრისა, მღვდელი გაბრიელ ოქროპირიძე; სოფ. დიმის ეკლესიის, ქუთ. მაზ. მღ. გიორგი მაჩიტაძე; 4) მკერდის ჯვრით, უწმ. სინოდისგან ბოძებულით—ახალციხის მიძინების სობოროს დეკ. დიმიტრი ხახუტოვი; მოწამეთის მონასტრის, ქუთ. მაზ. ბერ-მონაზონი ევსევი; გელათის მონასტრის, ქუთ. მაზ., ბერ-მონაზონი ანთიმოზი; მარტვილის მიძინების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონასტრის, სენაკის მაზ. გურია-სამეგრელოს ეპარქიისა, ბერ-მონაზონი გაბრიელ; იოანნე ნათლისმცემლის მონასტრის, ოზურგეთის მაზრისა, იმავე ეპარქიისა, ბერ-მონაზონი სიმეონი; წინამძღვარი პეტერბურგის პოდვორიის ახალ ათონის სიმონ კანანიტის მონასტრის, ბერ-მონაზონი მელქიტი. ქ. თბილისის, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკ. მღ. მარკოზ ტუმანაძე; ქ. თბილისის, ამაღ. ეკ. მღ. დავით ბარნაბოვი.; ქ. თბილისის, თავ. ორბელიანების სასახლის ეკ. მღ. სტეფანე ბერიძე; ქ. თბილისის, ავლაბრის მიხაილ-მთავარ ანგელოზის ეკ. მღ. დავით იანქოვი; ქ. ბაქოს, ალექსანდრე ნევლის სობოროს მღ. ალექსანდრე ალექსანდრისკი; იმავე სობოროს მღ. იოანნე რიაზანსკი; ქ. ელიზავეტოპოლის, ალექსანდრე ნევლის სობოროს მღ. ალექსანდრე ივანოვი; ქ. გორის, მიძინების სობოროს მღ. დიმიტრი ტატიევი; სოფ. ხცისის, გორის მაზრისა, ეკკლესიის, იოსებ ხუციევი; სოფ. საბუეს, თელავის მაზრისა, ეკ. მღ დავით გოკიევი; სოფ. ბოდბის, სიღნაღის მაზრისა, ეკ. მღ. აბრაამ ბაგაევი; დაბა ბორჯომის, გორის მაზრისა, ეკ. მღ. სერგი დავიდოვი; სოფ. ქედის, ქუთ. მაზრისა, ეკ. მღ. იუსტინე მომბარია; სოფ. ძუნკურის, იმავე მაზრისა, ეკ. მღ. დავით სირბილაძე; სოფ. საქარის, შორაპნის მაზ., ეკ. მღ. ლუკა ჭიბაშვილი; ქ. ქუთაისის საკათედრო სობოროს მღ. ნესტორ შავნგირაძე; ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის ეკ. მღ. იოანნე ტუდარინოვი; სოფ. ფარცხანაყანების, ქუთ. მაზრისა, ეკ. მღ. გიორგი ფხაკაძე; სოფელ კულაშის, იმავე მაზ., ეკ. მღ. იოსებ კანდელაკი; ქ. ქუთაისის, მწვანე ყვავილის მთავარ-ანგ. ეკ. მღ. დავით შელიავა; სოფ. ჯვარისას, იმავე მაზ. ეკ. მღ. იოსებ გეორგაძე; სოფ. ცხრუკვეთის, შორაპ. მაზ., ეკ. მღვ. ნიკოლოზ წერეთელი; სოფ. გამოჩინებულის, ქუთ. მაზ. ეკკლ. მღვ. იოსებ კანდელაკი; სოფ. მუჯალის, ლეჩხუმის მაზ., ეკ. მღვ. გიორგი მარგიანი; სოფ. მარტვილის მაზ. მიძინების სობოროს, სენაკის მაზ., ეკ. მღვდ. კაპიტონ გაწერელია; სოფ. ბახვის, ოზურ. მაზ., ეკ. მღვ. დიმიტრი ქიქოძე; სოფ. ქოცხერის, ზუგდიდის მაზ., ეკ. მღ. ნიკოლოზ ტოდორია; სოფ. სალენჯიხის, იმავე მაზ., ეკ. მღ. იაკობ თვალთვაძე; ქალაქ ფოთის სასაფლაოს ეკ. მღ. გიორგი კვირკველია; სოფ. ნიგოითის, ოზურ. მაზ., ეკ. მღვდ. ექვთიმე კალანდარიშვილი; 5) **კამალავკით**—საღმრთო სჯულის მასწავლებელი მეორე კლასიკური გიმნაზიისა მიხეილ არხანგელსკი; ქ. თბილისის წმ. ნიკოლოზის ეკ. მღ. მიხეილ მახათაძე; ქ. თბილისის, მთაწმიდის წმ. დავითის ეკ. მღ. ნესტორ მაჭაროვი; ქ. დუშეთის წმ. ნიკოლოზის ეკ. მღვ. დიმიტრი მეტრეველი; ელისავეტოპოლის ბრიგადის მიძინების ეკ. მღ. ალექსანდრე ტატუნოვი; დაბა ცხინვალის, გორის მაზრისა, ეკ. მღ. მანასია კაპანაძე; სოფ. დუმაცხორის, იმავე მაზ., ეკ. მღ. ნიკოლოზ მაჭაროვი; ქ. ალექსანდრეპოლის წმ. გიორგის ეკ. მღ. გრიგოლ ვასილოვი; სოფ. ბაშკევის, ბორჩალოს მაზრისა, ეკ. მღვდელი იორდანე ყარიაშოვი; ქ. გორის, მიძინების სობოროს მღ. სიმონ დოშატუროვი; ახალ ოფეთის სოფ. ქუთ. მაზ., ეკ. მღ. ალექსანდრე შანიძე; სოფ. ქვემო მაღლაკის, იმავე მაზრისა, ეკ. მღ. ისიდორე ყორყოლიანი; სოფ. რცხილათის, შორაპ. მაზ., ეკ. მღ. ბესარიონ გოგსაძე; სოფ. კვალითის, შორაპ. მაზრ., მღ. რომანოზ გორგაძე; სოფ. სადმელის, რაჭის მაზ. ეკ. მღ. პორფილე კერესელიძე; სოფ. მახაშის, ლეჩხუმის მაზრ., ეკ. მღ. იოანნე თაგვაძე; სოფელ ნაფიჩხავოს, სენაკის მაზრისა, ეკ. მღ. დიმიტრი ბერულავა; სოფელ დულალის, ზუგდ. მაზ., ეკ. მღვ. პეტრე კვარაცხელია; სოფ, წყეშის. სენაკ. მაზრისა, მღ. არსენ ჭალაკანიძე. სოფ. გორის-გვერდის, ოზურგეთის მაზ. ეკ. მღ. ბესარიონ იმნაიშვილი; სოფ. საჩიჯავოს, ზუგდიდის მაზრისა, ეკ. მღ. ოქროპირ ნანეიშვილი; სოფ. ქვალინის, სენაკ. მაზრისა, ეკ. მღ. დავით ხოჩოლავა; სოფ. ზუგდიდის, ზუგ. მაზრისა, ეკ. მღ. გაბრიელ ჯიქია; ქ. ოზურგ. ეკ. მღ. დავით დუმბაძე.

უწმიდეს სინოდის სამეურნეო სამმართველოსაგან

ფინანსთა მინისტრმა 13 იანვარს ამა წლისა №-23 ნომრით, აცნობა ბ. სინოდალურს ობერ-პროკურორს შემდეგი: „უმაღლესად დამტკიცებულის 29 აპრილს 1896 წ. სახელმწიფო საბჭოს ჰაზრით, სხვათა შორის, დადგენილ არს: უკანასკნელს ვადად გამოსაცვლელად 1887 წლის ნიმუშის ოც-და ხუთ მანათიანის, ათ მანათიანის და ხუთ მანათიანის ქაღალდის ფულისა დანიშნულ იქმნას 31 ქრისტეშობისთვე 1899 წლ., ისე კი, რომ ამ ვადის გასვლის შემდეგ ქაღალდის ფული 1887 წლის ნიმუშისა აღარ მიიღებოდეს სახელმწიფო ხარჯის გადასახდელად და აღარც კერძო პირებისთვის იყოს სავალდებულო მათი ხმარება.

ასეთი უმაღლესი ბრძანების გამო, იმ ჰაზრით, რომ ხსენებული დადგენილება სახელმწიფო საბჭოსი 1887 წლის ნიმუშის ქაღალდის ფულის გამოცვლის უკანასკნელ ვადის შესახებ, უფრო ძლიერ გავრცელდეს ხალხში, დეისტვიტელნი ტაინი სოვეტნიკი ვიტტე სთხოვს მოხდენილ იქმნას განკარგულება, რომ განცხადება ზემოთ თქმულ ვადის შესახებ ყოველ თვე იბეჭდებოდეს «საეკკლესიო უწყებათა» და „საეპარქიო უწყებათა“ ჟურნალში ვადის გასვლამდის, და რომ სამრევლო მღვდლებს მიენდოთ, სადაც-კი შეიძლება, განუმარტონ, აუხსნან ხალხს კერძო საუბრის საშუალებით გამოცვალონ საჩქაროთ 1887 წლის ნიმუშის ქაღალდის ფული ოც-და-ხუთ მანათიანი, ათ მანათიანი და ხუთ მანათიანი.

ფინანსთა მინისტრის ამ მოწერილობასთან გამოგზავნილ იქმნა საეკკლესიო და საეპარქიო უწყებათა გამოცემებში დასაბეჭდად ყოველ თვიურად შემდეგი განცხადება:

ფინანსთა მინისტრისაგან

სახელმწიფო საბჭოს 1896 წლ. 29 აპრილს უმაღლესად დამტკიცებულის ჰზრის თანახმად, უკანასკნელ ვადად 1887 წლის ნიმუშის ქაღალდის ფულის ოც-და-ხუთ მანათიანის, ათ მანათიანის და ხუთ მანათინისა, რომელიც გამოვიდა 1888 წლ. 25 მაისს, უმაღლეს ბრძანების თანახმად, დანიშნულ არს.

31 ქრისტეშობისთვე 1899 წლისა.

ამ ვადის გასვლის შემდეგ ქაღალდის ფული 1887 წლის ნიმუშისა აღარ მიღებულ იქმნებიან სახელმწიფო ხარჯის გადასახდელად და აღარც კერძო პირებისთვის იქნება სავალდებულო მათი ხმარება.

ნიშნები ქაღალდის ფულისა ოც-და-ხუთ მანათიანის, თუმნიანის და ხუთ მანათიანისა, რომლის ხმარება მოსპობილ იქმნება 31 ქრისტეშობისთვეს 1899 წელსა:

ფულის ზედა პირის სურათი დაბეჭდილია სქელი ლურჯი წამლით მხიარულ მიხაკისფერს ადგილზედ.

დაბეჭდის წელიწადი აღნიშნულია ფულის ზედა პირის ქვემო ნაწილზედ ხუთ მანათიანზედ (1894 წელს აქეთ აღარ არის) მარცხნივ, ათ მანათიანზედ (1892 წელს აქეთ აღარ არის) და ოც-და-ხუთ მანათიანზედ —(1887 წლისაზედ) შუაგულს ადგილს.

ფულის მეორე პირზედ არის სიგანის სურათი სახელმწიფო ბეჭდითურთ შუა ადგილს, მსხვილ ციფრებით მარცხნივ და მანიფესტიდამ ამოღებულ სიტყვებით—მარჯვნივ და დაბეჭდილია:

ხუთ მანათიან—ლურჯი წამლით (საღებავით).

ათ მანათიან—წითელი წამლით.

ოც-და-ხუთ მანათიანი—სოსანის ფერი წამლით.

ფინანსთა მინისტრის ასეთი მოწერილობის შესახებ სამეურნეო განყოფილებას, სინოდალურ ობერ-პროკურორის განკარგულების თანახმად, აქვს პატივი გამოაცხადოს სასულიერო უწყებაში ჯეროვან განკარგულებათა მოსახდენად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ვპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული, ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11 28.

№ 9—10 1883—1899 20 მაისი

შინაარსი: ოფიციალური განყოფილება: უმაღლესი ჯილდოები.—განჩინებანი უწმ. სინოდისა სასულიერო პირთა დაჯილდოების შესახებ.—ფინანსთა მინისტრისაგან ძველი ფორმის ქაღალდის ფულის გაუქმების შესახებ.

სალიტერატურო განყოფილება: საქართველოს ექსარხოსის მთავარ ეპისკოპოსის ფლაბიანმს მოგზაურობა იმერეთის და გურია-სამეგრელოის ეპარქიებში.—იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატების კრება ქ. ქუთაისში 16, 17, და 18 მარტს.—ყმაწვილების სარწმუნოებრივ-ზნეობითი აღზრდა უმთავრესად ოჯახს აძევს და არა სკოლას —საიდან წარმოდგა ჩვეულება, რომლის ძალით აღდგომა ღამეს წირვას ვიწყებთ ხოლმე შუაღამის გამთავეს.—მცირე შენიშვნა.—ვახტანგ გორგასლანი. ლექსი აკაკისა.—ახალი ამბები და შენიშვნები.

სწავლა და **მეცნიერება ქრისტიანოზრივ სარწმუნ** და **კეთილზნეობაზე:** ოჯახის კერა. მამაკაცი და დედაკაცი.

საჭირო და **სასარგებლო** ცნობათა განყოფილება: მედავითნეთა საყურადღებოდ. საეკვო კითხვების განმარტება. შეწირულებანი.—რედაქციის პასუხი.—განცხადება

საქართველოს ექსარხოსის მთავარ-ეპისკოპოსის ფლაბიანეს მოგზაურობა იმერეთის და გურია-სამეგრელოს ეპარქიებში,

ბევრი ხანია, რაც საქართველოს ექსარხოსის მობრძანებას მოელოდნენ იმერეთის და გურია-სამეგრელოს ეპარქიებში, მაგრამ მათმა მეუფებამ დღემდის ვერ იშოვა თავისუფალი დრო ამ ეპარქიების დასათვალიერებლად. 27 აპრილს, ღამით, ფოსტის მატარებლით საკუთარი ვაგონით გამოემგზავრა მათი მეუფება თფილისიდან ქუთაისისკენ. ყვირილაში მათ მეუფებას მიეგება ბლაღოჩინი დეკანოზი დ. ღამბაშიძე და გაჰყვა ქუთაისისკენ. 28 აპრილს, დილის ცხრა საათზე რიონის სადგურზე მათი მეუფების ვაგონი მიაბეს საგარაკო მატარებელს და სწორედ ათი საათის თუთხმეტი წამი იყო, როცა მათი მეუფება შებრძანდა ქუთაისში. რკინის გზის სადგურზედ მათ მეუფებას მიეგებნენ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი გენერალ-მაიორი გერშელმანი, თავადაზნაურობის წინამძღოლი თ. ს. გ. წერეთელი, მაზრის მარშალი თ. დ. ო. ნიჟარაძე, დივიზიის უფროსი გენერალი მილოვი, ოლქის სასამართლოს თავსმჯდომარე, ქალაქის მოურავი ლ. თ. ლოლუა, გამგეობის წევრნი ხმოსნებითურთ, ქაღაქის სამღვდელოების წარმომადგენელნი, მოწამეთის და ჯრუ-

ჭის მონასტრების არქიმანდრიტნი, სხვა-და-სხვა დაწესებულებათა უფროსნი, პოლიცმეისტერი კ. ი. სვიმონოვი და მრავალი ხალხი. ქალაქის მოურავმა მიართვა მათ მეუფებას პურ-მარილი და შემდეგი სიტყვა მოახსენა:

„წარმომადგენელნი უუძველესი მართლ-მადიდებელი ქალაქისა დიდის სიხარულით და მადლობით ეგებებიან თქვენი მაღალ-ეოვლად უსამღვდელოესობის მობრძანებას. თქვენი მობრძანება თავმდებია იმისი, რომ თქვენი მეუფება ზრუნავს და იდგწის ჩვენ სულიერ განათლებაზე. თქვენ მიერ პირველად ნახული სამწესო—ერთი უძველესთაგანია მთელს დედამიწაზე. ამ სამწესომ, იმის გამო რომ იგი მახლობლად მდებარეობდა ოსმალთა, ერთ დროს ფრიად ძლიერ სახელმწიფოსთან, მრავალი საუკუნოების განმავლობაში დიდი უბედურება და წვალება გამოცადა; მაგრამ ჩვენ წინაპართა მამაცობის წყალობით, მან, თუმცა იგი მორწყულ იქმნა მოწამეთა სისხლით და დაფარულ დვთის ტაძრების ნანგრევებით, დაიფარა ჩვენ მამა-პაპათა სარწმუნოება. ამ ჩვენ წინაპართა წყალობით ჩვენ მივიღეთ კიდევ მეორე დიდი მოწყალება: ჩვენი სამშობლო შეერთებულ იქმნა ერთ მორწმუნე დიდ რუსეთთან. ამ შეერთების წყალობით საქართველომ თავისუფლად ამოისუნთქა და დევნა-წვალებისაგანაც მოვისვენეთ. ჩვენ დიდად ვაფასებთ ამ დიდ სიკეთეს, რომელთა ზედა დამოკიდებულია ჩვენი ბედნიერება როგორც ამა ქვეყნიური ცხოვრების დროს, ისე ჩვენი ცხოვნება საიქიოს. ჩვენ ვუწყით თქვენი მაღალ ეოვლად უსამღვდელოესობის ხანგრძლივი სამსახური ქრისტეს ეკკლესიის სასარგებლოდ. ვუწყით აგრეთვე ის თქვენი სიყვარული და ერთგულება, რომლითაც თქვენ ასრულებდით თქვენს დიდ და ფრიად საძნელო მწყემსთ-მთავრულ მოვალეობას. ეს ჩვენ გვახარებს და გვანუგეშებს და თითოეული ჩვენგანი დარწმუნებულია, რომ თქვენი მეუფების მფარველობის და განათლებული მზრუნველობის ქვეშე ჩვენ განვაძლიერებთ და გავავრცელებთ ჩვენ ძვირფასს სამკვიდრებელს. ნება მიბოძეთ მე, თქვენო მაღალ ეოვლად უსამღვდელოესობავ, მოგართვათ თქვენ პურ-მარილი ნიშნად ჩვენი თქვენდამი პატივისცემისა და სიყვარულობისა და გამოვითხოვოთ თქვენი მწყემსთ-მთავრული ლოცვა-კურთხევა ჩვენს ქალაქზე“.

მათ მეუფებამ მადლობა გადუხადა და ხალხი დალოცა.

პირველად იგი მობრძანდა საკათედრო ტაძარში, სადაც მათ დახვდა იმერეთის ეპირსკოპოსის ბესარიონის წინამძღოლობით ქალაქის მთელი სამღვდელოება. ტაძრის შემოსავალთან ეპისკოპოსმა ბესარიონმა მათ მეუფებას შემდეგი სიტყვა მოახსენა:

„თქვენო ეოვლად უსამღვდელოესობავ, მოწყალეო მწყემსთ-მთავარო!

შემობრძანდით ამ ტაძარში, მწყემსთ-მთავარო, მშვიდობის მოუვარეო! უსაზღვრო სიყვარულით და მადლობით ეგებებით და მოგიკითხავთ რა, ჩვენც გულწრფელად ვმხიარულობთ თქვენის ხილვით, ჩვენო ტკბილო მესაუბრეო მწყემს-მთავარო, რომელმანც შემოიტანე საქართველოს ცხოვრებაში და მის ეკკლესიაში მშვიდობა და სიყვარული. ხალხის გული რბილია და მგრძნობი: მან, საქართველოს ხალხმა, პირველადვე დაუფასა და დრმათ შეგიყვარა თქვენ, როგორც შემომტანი ეველგან მშვიდობისა და სიყვარულისა. საქართველო და საქართველოს ეკკლესია სამუდამოდ დაიხსომებს თქვენს ამ მშვენიერს კეთილ ხასიათს. იცოცხლეთ, მეუფეო, მშვიდობის მოყვარეო, ზნეობით საკურნებელად სულთა და ხორცთა ჩვენთა მრავალ ჟამიერ. ამინ“.

შემდეგ გარდახდილ იქმნა მცირე ლიტია. შემდეგ ლიტიის გარდახდისა საკათედრო ტაძრის დეკანოზმა მ. გ. ცაგარეიშვილმა მიჰმართა მათ მეუფებას გრძელი სიტყვით, რომელშიაც ჩამოთვლილი იყო კეთილი თვისებანი მათი მეუფებისა.

მისმა მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობამ მადლობა გარდუხადა საზოგადოებას და ჰბრძანა, რომ იგი დიდად მოხარულია, რომ მიეცა შემთხვევა მოსულიყო იმერეთში ამ ბრწყინვალე დღესასწაულების დროს, შემდეგ დალოცა საზოგადოება და ისურვა მისთვის და მისი მომავლისათვის მშვიდობა, დღეგრძელობა და ურთიერთ შორის სიყვარული.

ყველა წარმომადგენლები, რომელნიც ბათ მეუფებას მიეგებნენ რკინის გზის სადგურზე, დაესწრენ ტაძარში, სადაც მოგროვილი იყო აუარებელი ხალხი. ეკკლესიის გალავანი სულ სავსე იყო ხალხით. საკათედრო ტაძრიდგან მათი მეუფება მიბრძანდა იმერეთის ეპისკოპოსის ბესარიონის სადგომში, სადაც ჩაი მიირთვა. შემდეგ მიბრძანდა სასულიერო სასწავლებლის ეკკლესიაში, სადაც შეკრებილიყვნენ ამ სასწავლებლის მოსწავლენი და მასწავლებელნი. აქაც მცირე შეგვიწყალენის შემდეგ მათმა მეუფებამ აკურთხა ყმაწვილები და მიბრძანდა სასწავლებელში და ყველა კლასები დაიარა. შემდეგ თავისი აზრი ჩასწერა განსაკუთრებულს წიგნში, რომელიც არის სასწავლებელში დიდ კაცებისა და საპატიო პირებისათვის მათი აზრის ჩასაწერად.

სანამ სასწავლებელში წაბრძანდებოდა, მათმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეუფებამ დაათვალიერა ბაგრატის ტაძრის ნანგრევები, მათ მეუფებასთან ერთად დაბრძანდებოდა ბატონი გუბერნატორი. ტაძრის ნანგრევების ისტორიულ ამბებს მათ მეუფებას მოუთხრობდა დეკ. დ. ღამბაშიძე. როდესაც მათმა მეუფებამ იკითხა, თუ როდის იქმნა დანგრეული ეს დიდებული ტაძარიო, დეკ. ღამბაშიძემ მოახსენა, რომ ამ ტაძრის გუმბათი დანგრეულია რუსის ჯარის ზარბაზნის ყუმბარებით 1795 წელსა. ქუთაისი მაშინ თათრებს ქონდათ დაპყრობილი და თვითონ ამ ტაძარში იყვნენ დაბინავებულნიო. რუსის ჯარის ზარბაზნების ყუმბარებმა გარეკა იგინი აქედან, მაგრამ ტაძარი კი დაზიანდა. ბოლოს ცოტა შეაკეთეს, მასში ცოტახანს კიდევ სრულდებოდა წირვა-ლოცვა, მაგრამ ჟამთა ვითარებამ თავისი ჰქნა, და ეს შვენიერი დიდება საქართველოს ეკლესიისა ამისთანა სატირალ მდგომარეობაშია".

სასულიერო სასწავლებლიდგან მათი მეუფება მიბრძანდა სასულიერო სემინარიის ეკლესიაში, სადაც მათ მეუფებას ელოდებოდნენ სემინარიის მოსწავლენი და მასწავლებლები. აქ სემინარიის რექტორი მიესალმა და მშვიდობით ჩამობრძანება მიულოცა. ექსარხოსმა მიმართა მოსწავლეებს, მშობლიური დარიგება მისცა მათ და აუხსნა, თუ რა დიდი მოვალეობა აწევთ მათ როგორც მოსწავლეებს და ხალხის მომავალ სულიერ მწყემსებს, დალოცა და შემდეგ დაათვალიერა კლასები. აქაც თავისი აზრი ჩასწერა წიგნში.

სემინარიიდან იგი წაბრძანდა საეპარქიო ქალების სასწავლებლის ეკლესიაში; აქ დახვდნენ მოსწავლე ქალები თავიანთ მასწავლებლებით და მთელი გამგეობა სასწავლებლისა. მათმა მეუფებამ დაწვრილებით გამოჰკითხა უფროსებს, რა საშუალებით ინახება ეს სასწავლებელი და ურჩია სამღვდელოებას, გადააკეთოს იგი ექვს კლასიან სასწავლებლად და პანსიონიც დაარსოს. შემდეგ დაათვალიერა სასწავლებლის ეზო, რომელიც ძლიერ მოეწონა. დალოცა მასწავლებლები და მოსწავლენი და წაბრძანდა გუბერნატორთან სადარბაზოდ. შუადღის პირველ საათზედ დაათვალიერა რეალური სასწავლებელი და ისურვა, მალე შეეძინოს ამ საწსავლებელს საკუთარი შენობა და ეკლესია. აქედან წაბრძანდა ქალების ვიმნაზიაში და შემდეგ ვაჟების გიმნაზიაში. ორს საათზედ მიბრძანდა სადარბაზოდ უგანათლებულესს თ. გრიგოლ ლევანის ძე დადიანთან. თავად-აზნაურების წინამძღოლ თ. ს. გ. წერეთელთან, დივიზიის უფროს მილოვთან, და სადილი მიირთვა იმერეთის ეპისკოპოს ბესარიონთან, რომელსაც მიწვეული ჰყავდა ყველა წარჩინებულნი და წარმომადგენელნი სხვა-და-სხვა დაწესებულებათა. სასულიერო პირთაგან მიპატიჟებულნი იყვნენ: რექტორი ქუთაისის სემინარიისა არქიმანდრიტი ბენიამენი, ინსპექტორი სემინარიისა მ. ნ. არხანგელსკი, დეკანოზები: გ. ცაგარეიშვილი და დ. ღამბაშიძე. სადილი გაგრძელდა თითქმის ორი საათი. სადილის შემდეგ არქიელის მთაზე მათმა მეუფებამ დაათვალიერა ის ადგილი, სადაც სასულიერო სემინარიისათვის სახლის აშენებას აპირებენ.

მოგეხსენებათ კარგად, რომ როცა ადგილის ამორჩევაზე მიდგება საქმე, თუ რა ამბები ხდება ჩვენში. ეს ადგილი წინდაწინვე იყო ამორჩეული განსვენებული ყოვლად სამღვდელოს გაბრიელისაგან. ბოლოს ეს ადგილი იყო ამორჩეული იმერეთის ეპარქიის სამღვდელოებისაგან კრებაზე და იგივე ადგილი მოწონებულ იქმნა უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორის ამხანაგის ბ. ვ. კ. საბლერისა და თვით ექსარხოსისაგანაც. მაგრამ აღმოჩნდნენ ქალაქ ქუთაისის სამღვდელოებაში და ჩვენში დროებით მოსულ პირებში ისეთნი პირნი, რომელთაც არ მოეწონათ ეს ადგილი და საუმჯობესოდ დაინახეს ერთი ადგილი ქალაქის განაპირას—საფირჩხიაზე. ამპირთ საფირჩხიის ადგილი საუმჯობესო ადგილათ მიაჩნიათ, ვინაიდგან თავისუფლად შეიძლება გასეირნება წყალწითელასკენ და ჰაერიც ვითომც საფიჩხიაზე უკეთესი იყოს. ამათი აზრით არქიერის გორაზე ვითომ ჰაერი ცუდია და გაშლილი მიდვრები არა აქვს, რომ თავისუფლად გაისეირნოს კაცმაო. მეორე დამაბრკოლებელ მიზეზად ის მიაჩნიათ, რომ ეპისკოპოსი ძლიერ ახლოს იქნება სემინარიაზე და ოთხ-კლასიანი სასწავლებელიც იქვე ახლოს არის და სემინარიის და ოთხ-კლასიანი სასწავლებლის ახლოს ყოფა არ შეიძლებაო. ამ ადგილის მოწინააღმდეგეთ ისიც კი მოუხსენებიათ, სადაც ჯერ არის, რომ არქიელის გორაზე ვითომც მრავალი სამიკიტნოებია და ამ გორაზე იმისთანა ხალხი ცხოვრებსო, რომერთანაც ახლო ცხოვრება არ შეიძლებაო... წარსულს წელში პეტერბურღში ერთ საპატიო პირს ვკითხე სინოდში ამ ადგილის შესახებ. და აი რა მითხრა მან: „აქნობამდისი გადაწყდებოდა სემინარიის სახლის ასაშე-

ნებლად ადგილის ამორჩევა, მაგრამ არქიელის მთა, როგორც იწერებიან, არ გამოდგებაო, რადგან ზამთრობით ამ მთაზე თითო და ორ-ორი თვით გზები შეკრულია სასტიკი ბუქისა და სიცივისაგანო. ეს დასაჯერიც არის. კარგად მოგეხსენებათ, განაგრძო მან, რომ ამისთანა ადგილის ამორჩევა სემინარიის სახლის ასაშენებლად მოუხერხებელია. გასაკვირველია, რათ ირჩევენ ამისთანა მთა ადგილს და რატომ არიან წინააღმდეგნი, რომ ვაკე ადგილზე, სადაც არც გზა შეიკრება და არც სასტიკი ყინვა და ქარ-ბუქისაგან სუნთქვა შეეხუთება კაცს, აშენდეს სემინარიის შენობა? მერმე ხალხი ყოფილა ამ გორაზე სულ"... მე გაკვირვებული ვისმენდი ამ სიტყვებს. ბოლოს მე მოვახსენე, რომ ყოველივე ის, რაც მოუხსენებიათ, მართალი არ არის. არქიელის გორაზე ცხოვრებენ სასულ. სასწავლებლის მასწავლებელნი, საკრებულო ტაძრის კრებულნი, უმეტესად სასულიერო წოდების პირნი და რამდენიმე მცხოვრებნი ერის კაცთაგანნი, რომელნიც ქალაქის სხვა მცხოვრებთაგან არ განირჩევიან და ზნეობით, ვგონებ, ყველაზე მაღლა დგანან. მთელს არქიერის გორაზე ერთი სამიკიტნო დუქანი არ არის და ლოთობას აქ ადგილი არა აქვს. ამ გორაკის ხალხი გაოცებული და გაშტერებული შესცქერის, როცა ხან-დის-ხან ტორტმანით ამოივლიან ხოლმე ამ გორაკის დასახედავათ უცხოელები. რაიცა შეეხება ჰაერის სასტიკობას ზამთრობით და თითო თვეობით გარეთ გამოუსვლელობას ქარ—ბუქის მიზეზით, ეს სწორეთ სასაცილოა, რომ ასე სამწუხარო არ იყოს. არ ვიცი, როგორ აგიხსნათ! თქვენ, რასაკვირველია, ნახული გექნებათ ესრეთ წოდებული Воробевыя горы მოსკოვში?—როგორ არა, ბრძანა მან.

—ძლიერ მაღლობზეა ეს ადგილი მოსკოვის სხვა ადგილზე? ვკითხეთ ჩვენ.

—არა, ბრძანეს მათ, ეს ადგილი ისე იწოდება მთად, თორემ მართლა მთა ადგილი კი არ არის, არამედ ცოტა აწეულია სხვა ადგილებზე.

—აი სწორეთ ეგრე არის არქიელის მთაც ქუთაისში, მოვახსენეთ ჩვენ. სასტიკი ქარბუქი ამ მთაზე, თითო თვეობით გზის შეკვრა და მსგავსნი ბუნების მოვლენანი სწორეთ აშკარა ცილის წამებაა და გამოგონილია იმ პირთაგან, რომელთაც, მაინცადამაინც, არ უნდათ ამ ადგილას სემინარია. ერთ დრომდის ის მოყავდათ მიზეზად, რომ ადგილი არ არის საკმაოო და როცა ადგილი უჩვენეს იმდენი, რამდენიც საჭირო იყო, მაშინ სულ სხვა მიზეზი დაასახელეს.

გასაკვირველია, თქვენო მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობავ, მოახსენა, სხვათა შორის, დეკ. დ. ღამბაშიძემ მათ მეუფეებას, რომ ეს ადგილი როგორც გეოგენურის მხრით, ისე სხვა მხრითაც გასინჯულია ექიმებისა და ხუროთ-მოძღვრებისაგან და მოწონებულიც, ფასით ნაკლებად თუ დაჯდება, თორემ მეტი არა საფირჩხიის ადგილზე, რადგან საეკკლესიო ადგილი გვაქვს ამ გორაზე და თუ ბაგრატის ტაძრის ეზოსაც ვიანგარიშებთ, მაშინ მუქთი ადგილი ერთ დესიატინამდე იქნება. სამღვდელოებას და ადგილობით მთავრობას სურს და მოსწონს ეს ადგილი და სხვა რაღა უნდა აბრკოლებდეს ამ საქმეს, არ ვიცი. აქ საჭიროა წინ დახედვა, რომ კაცი ისე არ შესცდეს, როგორც ერთ ადგილას შესცდენ და ურიცხვი ფულები ჩააბნიეს ადგილისათვის და დღეს კი ნანობენ ამ ადგილის ყიდვას"...

ამ ადგილის დათვალიერების შემდეგ მათი მეუფება მიბრძანდა ყოვლად სამღვდელო ბესარიონთან, სადაც ბრძანდებოდა მეორე დღემდე დილის ცხრა საათამდისინ.

29 აპრილს, დილის ცხრა საათზე მათი მეუფება საგანგებო მატარებლით გელათში წაბრძანდა, ხოლო გელათის სადგურიდან კარეტით აბრძანდა გელათის მონასტერში. გელათის მონასტერში მათ მეუფებას გაყვა ყოვლად სამღვდელო ბესარიონი, მათ მეუფებას თან ახლდენ დეკ. დ. ღამბაშიძე, მაზრის უფროსი, ქუთ. პოლიცმეისტერი და სხვანი. გელათის რკინის გზის სადგურზე ეკლესიის მიეგებნენ სოფლის მამასახლისები და ხალხი. მონასტრის კარებში მათ მეუფებას მიეგებნენ მონასტრის წინამძღვარი არხიმანდრიტი სერაფიონი და ძმანი მონასტრისანი. მცირე ლიტიის შემდეგ მათმა მეუფებამ დაათვალიერა მონასტერი და მონასტრის ძვირფასი ნივთები. მათ მეუფებას თან დაჰყვებოდა დეკ. დ. ღამბაშიძე და უმარტავდა ყველა ნივთების, წარწერების და ხატების ისტორიულ მნიშვნელობას. მათმა მეუფებამ ინება სამრევლო სკოლის დათვალიერება და შეგირდების გამოცდა სწავლაში. დაათვალიერა აგრეთვე დავით აღმაშენებლის სამლოცველო და ის ძეგლი, რომელიც დეკ. დ. ღამბაშიძის ინიციატორობით კეთდება გელათში. მათმა მეუფებამ თაყვანი სცა განს-

ვენებული ყოვლად სამღვდელო გაბრიელის საფლავს და როცა ყოვლად სამღვდელო ბესარიონმა მოახსენა სურვილი ყოვლად სამღვდელო გაბრიელის ნათესავთა ძეგლის დადგმის შესახებ საფლავზე, ბრძანა, რომ იატაკის ამაღლება შეუძლებელი იქნება, მაგრამ კედელზე შეუძლიანთ გააკეთონ რაიმე ნიში და იატაკზე კი შეიძლება წარწერით ლოდი ლასდვან, რომელიც უნდა იქნეს იატაკის სისწორეზე.

მონასტრის დათვალიერების შემდეგ მონასტრის წინამძღვარმა საუზმეზე მიიპატიჟა მათ მეუფება და 12 საათის ნახევარზე გელათიდან მათი მეუფება წამობრძანდა მოწამეთის მონასტერში ისევე საგანგებო მატარებლით.

მოწამეთის მონასტერში მათ მეუფებას ეკლესიის კარებთან მიეგებნენ მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი ბესარიონი და მთლად კრებული. მათი მეუფებას სიტყვა უთხრა რუსულ ენაზე მოწამეთის მონასტრის წინამძღვარმა მამა არქიმანდრიტმა ბესარიონმა. მკირე ლიტიის შემდეგ მათმა მეუფებამ თაყვანი სცა წმიდა მოწამეთა დავით და კოსტანტინეს გვამთა. მათი მეუფება ნახევარი საათი დარჩა წინამძღვრის სახლში და ნაშუადღევის პირველი საათის შემდეგ წამობრძანდა ქუთაისში. ქუთაისის რკინის გზის სადგურიდან მათი მეუფება წაბრძანდა იმ ადგილის დასახედავად, რომელიც სურს სემინარიის სამმართველოს სასყიდლად სემინარიის სახლის ასაშენებლად. ამ ადგილიდან მათი მეუფება წაბრძანდა ბატონ თოფურიას საავადმყოფოს დასათვალიერებლად. მათმა მეუფებამ დაიარა ყველა ოთახები ამ საავადმყოფოისა, დაათვალიერა საოპერაციო ოთახები. ოპერაციით ამოჭრილი ხორცმეტები მუცლიდან და გამოღებული შარდის ბუშტიდან ქვები და ერთი ავადმყოფი კაცის მუცლიდგან ამოღებული ბოთლი. დაათვალიერა აგრეთვე ერთი არშინის სიგრძე დამპალი წელი, რომელიც ამოუჭრიათ ერთი ავადმყოფი გაჩეჩილაძის მუცლიდგან. დამპალი და გაფუჭებული წელის ამოჭრის შემდეგ დარჩენილი წელები მიუკერებიათ ერთმანეთზე. ხსენებული კაცი დღეს კარგად არის. მათმა მეუფებამ ლოცვა-კურთხევა გადასცა ექიმს თოფურიას, მადლობა შესწირა მას ამისთანა ძვირფასი დაწესებულებისათვის და ბრძანა, რომ ეს საავადმყოფო სისუფთავით და მოწყობილებით უმჯობესია რუსეთის დიდ ქალაქების საავათმყოფოებზეო. ორ საათზე მათი მეუფება სადილზე იყო მიპატიჟებული ქუთაისის სამხედრო გუბერნატორისაგან და მასთან ერთად მიწვეულნი იყვნენ სხვა-და-სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი და სასულიერო წოდების პირთაგან: მათი მეუფება ყოვლად სამღვდელო ბესარიონი, რექტორი ქუთაისის სემინარიისა და დეკანოზები დ. ლამბაშიძე და გაბ. ცაგარეიშვილი.

გუბერნატორიდან ნასადილევს მათი მეუფება წაბრძანდა ყოვლად სამღვდელო ბესარიონთან, სადაც საღამოს ცხრა საათამდის დარჩა. რვა საათის ნახევარი იქნებოდა სწორეთ, როდესაც მათი მეუფება აივანზე ვნახე ყოვლად სამღვდელოს სასახლეში. მათ მეუფებას ჩემი შესვლის დროს გაზეთი „ივერია“ ეჭირა ხელში და ჰკითხულობდა. მე გაკვირვებით მოვახსენე მათ მეუფებას: ამბობდენ, რომ თქვენი მეუფება ქართულ წერა-კითხვას სწავლობსო. მე არ მჯეროდა, მაგრამ ეხლა კი დავრწმუნდი, რომ მართალი ყოფილა, რასაც ამბობდენ. მათმა მეუფებამ ბრძანა: ჯერჯეროობით მაგდენად არ შემისწავლია ქართული ენაო. მაგრამ როცა ამ ნომერის ზოგიერთი შინაარსი გადმოგვცა მან, მაშინ კი დავრწმუნდით, რომ მათ მეუფებას შეუსწავლია ქართული წერე-კითხვა. ამ გარემოებამ სწორედ დიდი სიამოვნება აღძრა ჩვენში. თუმცა ეს გარემოება ერთი მხრით მაგდენად გასაკვირველი არ არის, მაგრამ, თუ მივიღებთ სახეში იმას, რომ აქ ცხოვრებენ ოცი და ოცდაათი წლის განმავლობაში ზოგიერთები, მაგრამ ორი სიტყვის შესწავლაც ვერ მოუხერხებიათ ქართულ ენაზე, მაშინ, რასაკვირველია სწორეთ გასაოცარია, რომ მათ მეუფებას ასე მალე შეუსწავლია ქართული ენა.

ცხრა საათზე მათი ყოვლად უსამღვდელოესობა ყოვლად სამღვდელო ბესარიონითურთ წაბრძანდა ქუთაისის რკინის გზის სადგურზე. აქ მათ მეუფებას დახვდა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი, ქალაქის თავი და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი და სამღვდელოება. ათის ნახევარზე მათ მეუფებას გამოეთხოვენ ყველანი და მათი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა რიონის სადგურისაკენ წაბრძანდა საგანგებო მატარებლით და იქიდან ღამის ფოსტის მატარებლით გაემგზავრა ფოთისკენ.

შემდეგი იქნება.

იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატების კრება ქ. ქუთაისში 16, 17 და 18 მარტს.

დასასრული *).

ამღვდელოების კრება, მართალია, შეზღუდულია ერთნაირი ფარგლით და კრებას მხოლოდ სასულიერო სასწავლებლების გახსნა და შენახვა ეკითხება, მაგრამ ხშირად სამღვდელოების კრებაზე დეპუტატებს შეუძლიათ განმარტონ სხვა კერძო კითხვებიც, რომელნიც ხელს უწყობენ სამღვდელოებას და სამწყსოს კეთილ მიმართულებას. და წარმატებას, იმერეთის სამღვდელოების დეპუტატების ხსენებულ კრებასაც სასწავლებლების საქმეებს გარდა ქონდა მსჯელობა სხვა კითხვებზედაც. ერთი ამისთანა კითხვა, სხვათა შორის, აღძრა დეკ. დავით ღამბაშიძემ; მან მოახსენა კრებას შემდეგი... კარგად მოეხსენება კრებას, რომ ძველ დროში საქართველოს სამღვდელოებას ყოველ საუკუნეებში თავი უსახელებია რაიმე მოქმედებით: ან რაიმე საღმრთო-საეკკლესიო წიგნი უთარგმნია მას, ან ეს ხსენებული წიგნები ხელით გადაუწერია და გაუვრცელებია ხალხში, ან საზოგადო კრება მოუხდენია და რაიმე წეს-წყობილება და კანონები შემოუღია, ან ეკკლესიის მხატვრობა გაუშვენებია. მაგრამ ამ მეცხრამეტე საუკუნეში კი სამღვდელოების მხრით ასეთ საქებურ საქმეებს, თითქმის, ველარ ვხედავთ. ძველ დროში ვეპერთელა გულვანები და საზოგადო თვენი ხელით გადაუწერიათ სამღვდელო პირთ და გაუვრცელებიათ მონასტრებში და ზოგიერთ ეკკლესიებში. დღეს კი როცა ასე გავრცელებული და გაადვილებულია წიგნების ბეჭდვის საქმე, ვერაფერი ვერ მოგვიხერხებია, რომ ეს წიგნი დავბეჭდოთ. საზოგადო თვენი დღეს კიდევ იმექონება ზოგიერთ ეკკლესიებში. საეჭვო არ არის, რომ ეს წიგნები დიდხანს ველარ გასძლებენ. თუ ხელნაწერი თვენი—ნაღვაწი ძველი ჩვენი სამღვდელოებისა, მოისპო, ჩვენ სამუდამოდ დაგვეკარგება ეს შესანიშნავი ნაშრომი და ნაღვაწი ძველი ჩვენი სამღვდელოებისა და დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენში ყველა მღვდლები მაღისტრის ხარისხის მექონენიც რომ გვეყოლონ, არც ერთი მათგანი ამ წიგნის გადათარგმნას არ იკისრებს და არც დაეძებს. შვენიერი დრო და შემთხვევა გვაქვს ეხლა სამღვდელოებას, რომ კითხვა აღვძრათ ამ წიგნის დაბეჭდვის შესახებ. სადღესასწაულო თვენი ცოტა ხანში გამოიღევა და უნდა შეუდგენ მის დაბეჭდვას. აი ეს დრო არის სწორედ შვენიერი დრო, რომ საზოგადო თვენიც დაიბეჭდოს ორორი თვის ან თითო თვის ცალკე. სადღესასწაულო თვენი იყიდება შვიდ მანეთად და ამ ფულს რომ ამდენივე დაუმატოს კაცმა, ადვილად შეიძლება საზოგადო თვენის დაბეჭდვა. მე სრული დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი სამღვდელოება ამ წიგნის დაბეჭდვას სიხარულით მიეგებება და ეცდება, რომ თითეული წიგნი ყოველ ეკკლესიაში მოიპოვებოდეს. ამით მეცხრამეტე საუკუნის სამღვდელოება იმისთანა ღვაწლს დასტოვებს, რომ შემდეგი სამღვდელოება და საზოგადოება ნიადაგ მოიგონებს და მადლობით მოიხსენებს მათ. ჩემის აზრით მეცხრამეტე საუკუნის დასრულების სანახსოვროდ უკეთეს ნაღვაწს სამღვდელოება ვერ დაუტოვებს შთამომავლობას.

ეს კითხვა ყველასაგან სიხარულით იყო მიღებული და დაადგინა კრებამ, შუამდგომლობა აღძრას მღვდელ-მთავარმა ამ წიგნის დაბეჭდის შესახებ. ამასთან სთხოვა კრებამ მღვდელ-მთავარს, რომ სთხოვოს მან საქართველოის სხვა მღვდელ-მთავრებსაც დახმარება და მონაწილეობის მიღება ამ სასარგებლო და საჭირო წიგნის დაბეჭდის საქმეში.

ამ უკანასკნელ კრებაზე სამღვდელოების დეპუტატებს სხვა კითხვებზედაც ქონდათ მსჯელობა, მაგრამ ზოგი მათგანი იმდენად შესამჩნევი არ ყოფილა, რომ მათზე წერა განვაგრძოთ, ხოლო ზოგი მსჯელობის და გარდაწყვეტილების გამოცხადება რაღაც მოუხერხებლად მიგვაჩნია. ამისთვის ამით ვათავებთ ამ უკანასკნელი კრების ანგარიშს და საჭიროდ მიგვაჩნია აქვე გამოვაცხადოთ, რომ თითქმის, ყველა ჟურნალები მათმა მეუფებამ ისე დაამტკიცა, როგორც სამღვდელოების კრებისაგან იყო დადგენილი.

დამსწრე.

*) იხილე „მწყემსი“ № 7, 1899 წ.

უმაწვილების სარწმუნოებრივ-ზნეობითი აღზრდა უმთავრესად ოჯახს აძევს და არა შკოლას.

„ბოლის მიმართ ხშირად ისმის საუვედური და ჩიკვილი, რომ მასში მოსწავლე უმაწვილები ზნეობრივად ფუჭდებიან, მშობლების და უმფროსების გაგონებამორჩილება არ აქვთ, ურჩნი, შეუსმენელნი არიან, სხვა და სხვა ცუდ ჩვეულებებს იძენენ, საზოგადოების შემაწუხებელი ადამიანები გამოდიანო და სხვა. ამ სიტყვებიდამ გამოდის, ვითომცდა უმაწვილების ზნეობრივი აღზრდა უმთავრესად სასწავლებლის მოვალეობა იყოს და იგი ამ საქმეში ჰასუხის მგებელია. მაგრამ ეს აზრი შემცდარი და უსაფუძვლოა; იგი არის შედეგი იმისა, რომ მშობლებს და უმფროსებს უნდათ ბავშების აღზრდაში გამოჩენილი დაუდევრობა თავიდამ აიშორონ და თვისი დანაბაული სხვას მოასვიონ, ტუვილად სდებენ ბრალს სასწავლებელს, ამით თავს ვერ გაიმართლებენ; ბავშების სარწმუნოებრივ-ზნეობითი აღზრდა ოჯასის თავდაპირველი მოვალეობაა და არა შკოლისა, ვამბობთ, თავდაპირველი“.

რელიგიურ-ზნეობრივი აღზრდა უმაწვილებისა დაწყებულ უნდა იქნეს მათ ბავშობიდანვე. რაც შეიძლება ადრე, იმ დროიდგან, როცა მათში აზრი იბადება, როცა ისინი გარეგან მთაბეჭდილებათა ითვისებენ, და როცა მათთან-ერსი ზნეობრივი თვისებები ამა თუ იმ სახით თავს იჩენენ, ცხად-იყოფებიან. აღმზრდელობითი ზედგავლენა ბავშებზე თან უნდა ეკვებოდეს მათ ზნეობრივ ბუნების პირველთავე ცხად ეოფათა მისთვის, რომ წინდაწინვე აცდენილ-იქნეს სამწუხარო მოვლენა— ზნეობრივი დამახინჯება, განვითარება მავნე-მიდრეკილებათა. უნდა ვსარგებლობდეთ, სანამ ბავშების სულიერნი ბალანი ნორჩნი არიან, და უნდა მივცეთ მათ წესიერი მიმართულება. ვინ უარეოფს საჭიროებას და სარგებლობას რომელიმე მცენარის ადრინდელ მოსვლისა. რომ მცენარე კარგი იქნეს, მის მოვლას ადრევე იწყებენ, იმ დროიდამ, როცა იგი ნორჩია, და თითქმის როცა იგი ჯერედ თესლადაა, როგორათაც, განაპოხებენ მიწას, წყალს უსხმენ, აცლიან გარშემო ამოსულ ბალახებს და სხვა. თუ წესიერი მოვლა დავიწყეთ გვიან, როცა მცენარე გაიზრდება და გამაგრდება, მაშინ ეს მოვლა უნაყოფოდ ჩაივლის, იგი ვერ მიცემს მას მცენარეს შესაფერ ფორმას და ენერგიას. ასევე ხდება ბავშებზედაც. თუ ისინი თვის თავს მივანდეთ, თავის ნებაზე მივუშვით და მათზე არავითარი რელიგიურ—ზნეობითი გავლენა არ ვიქონიეთ, ამას ის შედეგი მოჰყვება, რომ ისინი ზნეობრივად კეთილგანუწყობელი ადამიანები გამოვლენ, და როცა ისინი თვითცნობიერებაში მოვლენ, თვის დანიშნულებას მიხვდებიან, შეიგნებენ, თუ რაშია მათი ნამდვილი ბედნიერება და მოინდომებენ თვით გასწორებას, მაშინ მათ ძლიერ გაუძნელდებათ, და თითქმის შეუძლებელიც გაუსდებათ თვის თავის გადაქმნა, მოდრეკა-შესუსტება ბავშობაში შესისხლხორცებულ ბიწიერ. თვისებათა და ვნებათა, და მათ ფრიად დიდი მეცადინეობის ხმარება დაჭირდებათ, რომ ახალ კანონიერ პრინციპებს ფართო გზა მისცენ. თუ როგორ

ძნელია ბავშობაში შეზრდილ ჩვეულებების მოსპობა, შემცირება, ეს ყველა ჩვენთაგანს თვის თავზე გამოუცდია. თუ ემაწვილებზე ზნეობრივი გავლენა ადრევე იქონიეს, გადაელობენ მათ ბოროტ სურვილებს და ხელი შეუწყვეს მათ კეთილ თვისებათა, ადრინდელ ჭასაკშივე-მაშინ მათი ქორფა გაუფრჩქვნელი ძალნი ხმარებულ აღმზრდელობით საშვალებებს ადვილად დანებდებ—ემორჩილებიან, და ამით დადებულ იქნება მტკიცე საფუძველი მათის სარწმუნოებრივ—ზნეობით სრულ ეოფისა და ჯეშმარიტი ბედნიერების მოპოებისათვის. არ უნდა შეგვაუენოს იმან, რომ ბავშების აღზრდა მათის ნების უმონაწილეოდ სრულდება და წარმოებს ჟამსა მათის შეუმცნებლობისა, ანუ ნახევრად-შემეცნებისასა, ის, რაც კანონიერი და კეთილია, რაც ბედნიერების მომნიჭებელია, რისადმიდაც ემაწვილები შემდეგში თვითონვე დაიწყებენ ლტოლვას, რის უქონლობაზედაც დაბოლოს იმწუხრებენ,—არა სჯობია მათ დროითვე მივაწოდოთ, შევმინოთ იმ ასაკში, როცა მათი ბუნება ნორჩია, ეოველისფერს ადვილად ითვისებს, და ამ დროს შეთვისებული სამუდამოდ დარჩებათ. ხოლო სად მიმდინარეობს ემაწვილების პირველ ბავშობის ხანა?—ოჯახში, მშობლებსა და ნათესავებთან. ამ სახით, ოჯახი შეადგენს ბავშვების პირველ აღმზრდელ წრეს. ემაწვილების შკოლაში შეევანით ოჯახი მათ რელიგიურ—ზნეობრივ აღზრდის მოვალეობისაგან სრულიადაც არ თავისუფლდება, ის ისევ უმთავრეს აღმზრდელ წრედ რჩება. ბავშები მომეტებულად ოჯახში იმეოფებიან, და ზნეობრივ ცხოვრების ცხად ეოფისათვის მოხერხებული შემთხვევები ოჯახში უფრო მეტია, ვიდრე შკოლაში. სასწავლებლის მიზანთა შორის ტეუილად აძლევენ პირველ ადგილს სარწმუნოებრივ ზნეობითს—აღზრდასა. რისთვის უნდა აჩეჩონ სასწავლებელს უპირველეს მიზნად ის, რასაც იგი ვერ შეასრულებს, ბავშები შკოლაში ბევრი-ბევრი ოთხ ხუთ საათს რჩებიან, და თითქმის მთელი ეს დრო სასწავლო საგნების შეთვისებაზე მიდის. შემდეგ, მათ სასწავლებელში რელიგიურ-ზნეობრივ წრთვნილებისათვის მარჯვე შემთხვევები იშვიათად ეძლევათ, კეთილ ნაეოფიერ მოქმედებისათვის ემაწვილების ბუნებაზე, კეთილ ცხოვრების ცოცხალ მაგალითების დასახვისათვის მათ თვალწინ, მათ გადაჩვევისათვის ცუდ მიდრეკილებებისაგან და კეთილ თვისებების თან-შეზრდისათვის საჭიროა მარჯვე შემთხვევები, ასეთი თუ ისეთი მოვლენანი ზნეობრივ ცხოვრებაში, ერთმანეთთან დამოკიდებულებათა შორის; ხოლო სასწავლებელში ამისთანა სახელდახელო მომენტების ლოდინი დიდ ხან მოგვინდება, საგანგებოდ კი მათი შექმნა შეუძლებელია, აბას გარდა, რომ კაცმა მართლაც და ნამდვილი აღმზრდელობითი ზედგავლენა იქონიოს ემაწვილებზე, ამისთვის მოითხოება, რომ მან კარგად იცოდეს მათი ბუნება, მათნი მიდრეკილებანი და ამათდაგვარად იხმაროს ასეთი თუ ისეთი საშვალებები და თვითოეულ ბავშს შესაფერისად მოექცეს, ხოლო ყველა ბავშების ხასიათის შესწავლა მასწავლებლისათვის, რომელსაც ხშირად ორმოცდა ათამდე მოსწავლეები ჰყავს, შეუძლებელი საქმეა. რასაკვირველია, თუ ზნეობრივი აღზრდა ქადაგების კითხვით მოხერხდება, მაშინ შეიძლება შკოლას დავავა-

ლოთ ზნეობრივი აღზრდა, მაგრამ, ცარიელ სიტყვით დარიგება არ ნიშნავს აღზრდასა, ამ-ვარად, ბავშვების აღზრდა სასწავლებელში შესვლის შემდეგაც უმთავრესად ოჯახს ევალება და ამან უნდა განაგრძოს ზრუნვა-მეცადინეობა მათ დაცვაზე ზნეობრივ სიწამხდრისაგან და მათ სულიერ გაუმჯობესობისათვის.

კაჭახიძე.

შემდეგი იქნება.

საიდან წარმოდგა ჩვეულება, რომლის ძალით აღდგომა ღამეს წირვას ვიწყებთ ხოლმე შუალამის გამთავრეს.

ესამე საუკუნეში აღიძრა კითხვა იმის შესახებ, თუ სახელდობრ რა დროიდან უნდა იწყონ ქრისტიანებმა პასექის დღესასწაულობა. ასეთი კითხვა აღიძრა იმიტომ, რომ თვით სახარებაში სინამ-დვილით არ არის ნაჩვენები ის საათი, როცა აღ-დგა ქრისტე. მახარებელნი სხვა და სხვა ნაირად მოგვითხრობენ ქრისტეს საფლავის ხილვას, რად-გან როგორც მოწაფენი ისე მენელსაცხებელნი დედანი მივიდნენ ქრისტეს საფლავთან სხვა და სხვა დროს; და ყველა მათ იხილეს უფლის საფ-ლავი ცარიელი და ანგელოსთაგან გაიგეს, რომ ქრისტე მაცხოვარი უკვე აღდგა. მახარებელი მა-თე მოგვითხრობს, რომ ეს მოხდა მწუხრის დრო შაბათსა, რომელი განჭსთენდებოდა ერთშაბათად (მათ. 28, 1), ესე იგი გათენებისას პირველი დღისა შაბათის შემდეგ; მახარებელი წმ. მარკოზი მოგ-ვითხრობს, რომ ქრისტე აღდგა განთიად, ვიდრე ბნელდა იყო (20, 1). ვინაიდგან ქრისტეს აღდგომა მისი საკუთარი სიტყვისაებრ უნდა მომხდარიყო მესამე დღეს, ამიტომაც უფლის აღდგომა მოხდა არა ადრე შუალამისა, არამედ პირველ საათზე ნაშუალამევს. რატომ სისწორით არ უჩვენებენ მოციქულები ქრისტეს აღდგომის დროს? წმ. მიტროპოლიტი ფილარეტი ამბობს: არც ერთს ბნელსა შინა მცხოვრებთაგანს არ უხილავს ქრის-ტეს აღდგომა ღამის იმ საიდუმლო წუთს ანუ განთიადისას, როცა მოხდა აღდგომა ქრისტესი. შეიძლება, ეს ასე მოხდა იმის გამო, რომ ხილუ-ლი სხეული ქრისტესი, რომელნიც გარდაიქმნა სულიერად და განდიდებულ იქმნა, უხილავი შეიქმნა ამ ქვეყანაზე მცხოვრებთაგან. შეიძლება ეს ასე მოხდა იმის გამოც, რომ იმ დროს კიდევ არ იყვ-ნენ მომზადებული ქრისტიანენი, რათა ეხილათ მკვდრეთით აღდგომილი ქრისტე; ზეციური და ღვთაებრივი მოვლენა იმ მორწმუნესათვის, რო-მელიც სარწმუნოებით მომზადებულია მის სახილ-ველად, არის ნათელი, განმანათლებელი და ცხო-ველსმყოფელი, ხოლო მისთვის, რომელიც მო-უმზადებელია და განუწმენდელი, ეს ზეციური და ღვთაებრივი მოვლენა არის მომაკვდინებელი მეხი. შეიძლება ქრისტეს აღდგომა იმიტომ მოხდა ასე, რომ ამით უფრო დიდი სასყიდელი მიეღოთ მორ-წმუნეთ თავიანთი სარწმუნოებისათვის, ვინაიდგან თვით ქრისტემ ბრძანა: „ნეტარ არიან, რომელთა არა უხილავსთ და რწმენენ“.

ვინაიდგან სახარებაში სინამდვილით არ არის ნაჩვენები ქრისტეს აღდგომის დრო, ამიტომ ქრი-სტიანობის პირველ საუკუნეებში ერთსა და იგივე დროს არ იწყებოდა ეკკლესიებში პასექის დღე-სასწაულობა. ზოგი ქრისტიანები (რომაელნი) ათავებდენ მარხვას და იწყებდენ პასექის დღესას-წაულობას თვით შუალამისას პასექის დღისა; ზოგნი აღმოსავლეთ ქრისტიანეთაგანნი იწყებდენ პასექის დღესასწაულს ნაშუალამევის შემდეგ დროს, მაგრამ არა ადრე ნაშუალამევის პირველი საათისა, ხოლო ზოგნი იწყებდნენ პასექის დღესასწაულს განთიადისას. ვინაიდგან პასექის დღესასწაულობა სულ სხვა და სხვა დროს იწყებოდა მესამე საუ-კუნის ნახევარში, პენტაპოლის ეპისკოპოსი ვასი-ლიდი განგებ შეეკითხა წმ. დიონისე ალექსანდ-რიელს იმის შესახებ, თუ რა დროს უნდა დას-რულდეს მარხვა წმ. პასექის დღის დაწყების წი-ნად. ამის პასუხად წმ. დიონისიმ მისწერა წერი-ლი, რომელშიაც ეს წმიდა მამა უსაყვედურებს მათ, რომელნიც ძლიერ ამოკლებენ მარხვას და ათავებენ მას შუალამეზე ადრე, რო-

ზორც ამას ჩადიოდენ აფრიკაში მცხოვრები ქრისტიანენი,—ამავე წერილში იგი აქებს მათ, რომელნიც ინახვენ მარხვას გათენებამდე. ეს წმიდა მამა პირ და პირ ასახელებს დროს, როცა უნდა დაწყებულ იქმნეს პასექის დღესასწაულობა, მხოლოდ საზოგადო კანონად რაცხს, რომ პასექის დღესასწაულობა დაწყებულ იქნეს არა უადრეს შუაღამისა. ამ კითხვის შესახებ სხვა-დასხვა ნაირად ფიქრობდნენ ტრულის კრების დრომდე. ამ კრებაზე კი დადგენილ იქმნა, რათა დასრულებულ იქნეს მარხვა და დაწყებულ პასექის დღესასწაულობა ნაშუაღამევს დიდი შაბათის შემდეგი დღისას: ამ დროიდგან ყველგან ერთ დროს იწყეს პასექის დღესასწაულობა და სახელდობრ შუაღამის გამთავეს. „ამ სადღესასწავლო და წარჩინებულ შუაღამისას, ამბობს მოსკოვის მწყემსთმთავარი ფილარეტი, ეკკლესია უჩქარის შეგვკრიბოს ჩვენ დღესასწაულის დასაწყებად, რათა სწორეთ იმ დროს ვიწყოთ დღესასწაულობა, როცა მკვდრეთით აღდგა ქრისტე მაცხოვარი.

მცირე შენიშვნა

შესახებ ჩვენის სტატიისა: გარეგნობით ღვთის-მსახურების დატემის მიზეზი ჩვენს ხალხში და მისი ადსადგენი საშვალებები.

დაცემულ ღვთის-მსახურების აღდგენისათვის გარდა ზნეობრივ საშვალებებისა, ქადაგებისა და მოძღვრის მაღალ ქრისტიანულ ცხოვრებისა, დავასახელეთ კიდევ განმშვენებული საეკკლესიო ღვთის-მსახურება და ტაძრის განკარგებული მოწყობილობა. ჩვენ სიტყვებიდამ ამ უკანასკნელ საშვალებების შესახებ ზოგიერთებს ის დასკვნა გამოუყვანიათ, ვითომც ჩვენ ვამბობდეთ მეტის მეტ, გადაჭარბებულად გაშნოიანებულ საეკკლესიო მოქმედებაზე, თეატრალურად აღსრულებულ გალობაზე და ეკკლესიის ძალიან მდიდრულ მორთულობაზე, და ამათგან ხომ რელიგიური გრძნობა კი არ აღიძრების და ძლიერდების, არამედ პირიქით ქრება, და მის ნაცვლად მხოლოდ ესტეტიკური გრძნობა იბადება, ინთება. სრული ჭეშმარიტებაა, რომ გადაჭარბებით გამშვენებულ საეკკლესიო მოქმედებისა, გალობისა და ტაძრის მოწყობილებისაგან რელიგიური გრძნობა ირყვნება, სუსტდება, მაგრამ ჩვენ ხომ საშვალებებად მაგეები არ დაგვისახელებია. აბა თუ არის სადმე ნახმარი სიტყვები: რაც შეიძლება ძალიან გაშვენებული, ძლიერ მდიდრული, უუშვენიერესი და სხვა? ხომ არ გვისურვებია ისეთი შესანიშნავი ეკკლესიები, როგორიცაა მოსკოვის მაცხოვრის, კიევის ვლადიმერის და პეტერბურგის ისაკის ტაძრები და ისეთი გამშვენებული გალობა, როგორიცაა კაპელლებში. არა, ჩვენ ვამბობთ, რომ საჭიროა სრულდებოდეს ღვთის-მსახურება გამშვენებით, გალობა-კეთილხმოვნად, და ტაძრის შინაგანი მორთულობა სასიამოვნო სანახავიც იყოს, საეკკლესიო ნივთები სუფთა და კარგი იყოს. და ამ სიტყვებიდამ მაინც-და-მაინც უუკიდურესი დასკვნა რისთვის უნდა გამოიყვანოს კაცმა? განა ეს სიტყვები არ იცავენ თვის შორის აზრს ზომიერ გამშვენებაზე? ეგება გვითხრან, რისთვის იქავე არ მოვიხსენიეთ, რომ გადამეტებული გარეგანი სიმშვენიერე არ გვაქვს სახეშიო?—გადაჭარბებულ სიშვენიერეზე ჩვენს ეკკლესიებში ლაპარკს საჭიროდ არ ვთვლით, რადგან დარწმუნებული ვართ, რომ უშვენიერეს ტაძრების გამოჭიმვა, საეკკლესიო კონცერტულ გალობის შემოღება, ოქროვერცხლით მოჭედილ ხატების მოპოება ჩვენში ჯერ ჯერობით შეუძლებელი საქმეა, და აბა ხომ უადგილო იქნება ლაპარაკი ეკკლესიის გადამეტებულ სიშვენიერის მავნებლობაზე? აგერ მცხეთის ეკკლესია იქცევა, და მისი შეკეთება-გამშვენება ვერ მოგვიხერხებია, და აბა საიდგან გადავაჭარბებთ გაშვენებულ გარეგნობითს ღვთის-მსახურებაში? ვიმეორებთ, ჩვენ ვამბობთ მხოლოდ ზომიერ სიშვენიერეზე საეკკლესიო ღვთის-მსახურებაში. ჩვენის სოფლის ეკკლესია თვის ნაშენობით საკმაოა, ოღონდ საჭიროა ცოტათი ლამაზად მოირთოს, შიგ კარგი კითხვა-გალობა ისმოდეს და მღვდელ-მოქმედება წესიერად სრულდებოდეს. ზომიერად გამშვენებული ღვთის-მსახურება ერთი რომ რელიგიურ იდეიას უფრო შეეფერება, და მეორედ რომ მართლაც აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს, მლოცველის სულს ღვთისადმი აღავლენს. ზომიერად გაშვენებულ ღვთის-მსახურების მნიშვნელობას ვერვინ ვერ უარყოფს, საჭიროა მხოლოდ დაკვირვება და თვისთავზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცდა. ვისაც ყურადღებით მოუსმენია სიონის, ანუ ანჩის ხატის ტაძარში ყოვლად უსამღვდელოესის ლეონიდის ღვთის-მსახურება ქართულ ენაზე და ქართული გალობა თბილისის სათავად-აზნაურო შკოლის მოსწავლეებისა, ის თვის თავზე დაინახავდა, თუ როგორ შეუძლია გამშვენებულ საეკკლესიო მოქმედებას, გალობას და ეკკლესიის მოწყობილობას აღფრთოვანება ადამიანის სულისა ღვთისადმი, ხოლო რაც შეეხება ეკკლესიების და ღვთის მსახურების მდგომარეობას ჩვენში, უნდა ვსთქვათ, რომ ისინი ერთობ მოკლებულნი არიან ზომიერ გამშვენებულობასა. პროტესტანტი ხომ საშინელი მტერია გარეგნობით გაშვენებულებისა საეკკლესიო ცხოვრებაში, მაგრამ იგი რომ ჩვენს ეკკლესიაში შევიდეს და მოისმინოს წირვა-ლოცვა, იტყვის: ნუ თუ მე სამლოცველო სახლში ვარო?..

კაჭახიძე.

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲒᲝᲠᲒᲐᲡᲚᲐᲜ.

(ისტორიული)

„რამ დაგაღონა გმირთ-გმირო,
მეფეთ-მეფეო ქებულო,
საქართველოსთვის მანანად
განგებით მოვლინებულო?

—

ცალ-ფეხს რომ აჭერ შავ-ზღვაზე,
მეორე თეთრზე გიდგია!
მაღლით მზე გეგვირგვინება
და მთვარე ტახტად გიდგია!

—

ქვესკნელში უჭრი სამართალს
ქვე-მძრომსა, ჭიანჭველასა!..
ცაში ყურს უგდებ რეკასა
და იგულისხმებ ყველასა!

—

აღვირ-ამსხმელო სპარსეთის,
გარს ძლევის სხივი გივლია!
სინდ-ინდო აბაშეთითურთ
ფეხ-და-ფეხ შემოგივლია!!

—

და საბერძნეთიც მოყვრად გყავს,
თანა-მერჯულე შენია!
რაღა გაკლია ამ ქვეყნად,
მაგრე რომ მოგიწყენია?“

—

ეკითხებოდა გორგასლანს
ჯუანშირ გამოჩენილი
და ვახტანგ პასუხს აძლევდა
სიტყვა ია-ვარდ ფენილი:

—

„სჭვრეტ და ვერ ჰხედავ, გრძნობ—
გჯერა, რაც არაფერია!.. [ვერ სჯი;
ქარი წაიღებს უკანვე,
რაც ქარის მონაბერია!..

—

თუმც მართალია, რაცა სთქვი,
მაგრამ სულ გარეგანია!
დიდება ხალხის გულია—
სხვა ყველა გარე კანია!

—

რას უზამს მტერი გარეშე
დამხდურსა მარად ფხიზელსა,
როცა ვერ აწვდენს გულამდე
ვერც სისხლიან ხმალს, ვერც ხელსა?..

—

დღეს დაიმონებს, ხვალ ველარ...
ეს ბრუნვა ქვეყნის წესია!
მაგრამ მოყვარე ორგული
კი მტერზედ უარესია:

—

მოგხიბლავს სირინოზივით,
დაგიფენს ვარდს და იასა,
ბანგს გასმევს დასაძინებელს,
გულში გაგიჩენს ჭიასა!..

—

მაშინებს ბერძნის მოყვრობა,
და ერთ-სჯულობა მათთანა,
ვაი, თუ მათი მოძღვრებით
ყელში გაგვირჭონ მათ დანა!..

—

ვხედავ სხვა-გვარად უჭირავს
ანტიოქიას დღეს თვალი!
სჯობს ეკკლესია ქართველთა,
რომ იყოს თავისუფალი!

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ რა გვარად? თანხმობით
არ აიღებენ ხომ ხელსა
და თუ ვიხმარე ძალა რამ,
გავიტეხ წმინდა სახელსა".

—

ჯუანშირ ეტყვის: „მეფეო,
გქონია საფიქრებელი!
მე შენსა ალმაფრენასა
რას მივსწვდებოდი მზე-ბნელი?

—

ახლა რომ ჩამაგულისხმე,
სისწორით ვახელ მეც თვალსა:
ეს საქმე გადასაწყვეტად
ზეცას მივანდოთ უფალსა.

—

ნებით არ იზმენ, ეგ ხმალი
ხომ ღვთის ნაკურთხი გკიდია?
მსხვერპლი სამშობლოს გულისთვის
ყოველგვარ მსხვერპლზე დიდია!"

—

რჩევა დაუჯდა გორგასლანს
ერთგული ჯუანშირისა,
საერო „გიხაროდენი"
გამქარვებელი ჭირისა.

—

რა ველარ გასჭრა ვედრებამ,
ხელში აიღო მახვილი
და მით მსოფლიო კრებაზე
დაბეჭდა ქვეყნის სურვილი:

—

«საქართველოს ეკლესია
თვით მართლ-მადიდებელია;
კათალიკოსს თვისას დასვამს
დაუმოკიდებელია!"

(აკაკის „კრებულიდან").

ახალი ამბები და შენიშვნები.

31 ამა მაისს დანიშნულია საგანგებო კრება იმერეთის სამღვდელოების დეპუტატებისა ქ. ქუთაისში. ამ კრებაზე სამღვდელოების დეპუტატებს ექმნებათ მსჯელობა საეპარქიო ქალების სასწავლებლის ექვს კლასიანად გადაკეთებაზე. სამღვდელოებამ თუმცა კომიტეტი დანიშნა ზედ-მეტი თულების ხარჯის დასათარავად წყაროების გამოსახვის შესახებ, ისე, რომ სამღვდელოების ხარჯს, ისევაც ძველერ დატვირთულს სხვა-და-სხვა ხარჯებით, არა მიემატოს რაო, მაგრამ როგორც ვიცით, ჯერეთ კომიტეტს არავითარი წყარო არ გამოუნახავს.

—

ევირიდის მცხოვრებლები მეტის-მეტად შეწუხებულნი არიან რკინის გზის მმართველობის განკარგულებით. რკინის გზის სადგურიდან ქვითკირის ზღუდეს აკეთებენ თითქმის ერთ ვერსზე და ხალხს ესპობა ისეთი გზა, რომელიც მისთვის აუტანელი საჭირო.

—

გასაოცარია, რომ თითქმის ყველა რკინის გზის სადგურებზე ტფილისის ყურნალ-გაზეთებს იმავე დღეს იღებენ, რა დღესაც გამოდიან და ევირიდაში კი—მეორე დღეს...

—

„ივერია"-ში ვკითხულობთ, რომ მადალ-ყოვლად უსამღვდელოესმა საქართველოს ექსარხოსმა ფლავიანემ ხონის დედათა სასწავლებლის სასარგებლოთ შესწირა 50 მ.

—

ყველა სასულიერო სასწავლებლებში ეგზამენები დასრულდება ამა მაისის დამლევს.

—

იქვე ვკითხულობთ: ორ მაისს, ანჩხატის ტაძარში მწირველი ბძანდებოდა ყოვლად-სამღვდელო ეპისკოპოსი გორისა ლეონიდი. წირვაზედ მლოცველი ხალხი ბევრი დასწრო. სასიამოვნოდ გალობდა ბ-ნ ნიკოლოზ ბერიშვილის ლოტბარობით ქართველ მგალობელთა გუნდი, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ ქალები. დიდი მადლობის დირსია ბ-ნი ბერიშვილი, რომ ასე მალე ქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებსაც-კი შეასწავლა მდედელ-მთავრული წირვის გალობა. წირვაზედ ყოველად-სამდვდელო ლეონიდმა წარმოსთქვა გრძნობიერი სიტყვა „მენელ-საცხებელ დედათა“ შესახებ, რომელმაც ბევრს დედებს მოჰგვარა თვალებზედ ცრემლი. რაც ყოველად-სამდვდელო ლეონიდმა დაიწყო ანხეატის ტაძარში წირვა, ხალხიც დიდ ძალი ესწრება. ხალხს იზიდავს როგორადაც ლმობიერი გრძნობით სავსე ქადაგება ყოველად-სამდვდელოსი, აგრეთვე მშვენიერი გალობა ქართველთა გუნდისა.

—

ჩინეთის ქვრივმა დედოფალმა გამოაქვეყნა ბრძანება იმის შესახებ, თუ როგორ მფარველობის ქვეშ უნდა იყვნენ კათოლიკეთა მისიონერები. დედოფალს სურს ნახოს, მშვიდობიანად ცხოვრობდნენ ერთმანეთთან მისი ქვეშევრდომნი და ქრისტიანები, რისთვისაც ჩინეთის სახელმწიფო მოხელეებს ებრძანათ დარბაზობა გადაუხადონ ხოლმე მისიონერებს, შეუძლიათ მოითხოვონ ხირადათ ნახვა: ეპისკოპოსმა—ვიცე-კოროლებისა და გუბერნატორებისა, ვიკარიმ და დეკანოზმა—ხაზინადრებისა, ბრალეინტების მოსამართლეთა, ინტენდანტებისა, დანარჩენმა მდვდლებმა,—ოლქების უფროსთა ხირველ და მეორე კლასისა. ეპისკოპოზებს ნება ეძლევათ კერძო წერილები მისწერონ და სადარბაზო ბარათები გაუგზავნონ ვიცე-კოროლებს და გუბერნატორებს შემდეგს შემთხვევებში: გაწესების და გაწესებულ თავიანთ ადგილას მისვლის დროს, და ახალ წლის მოსალოცავად, განსაკუთრებულს შემთხვევებში კათოლიკეთა მისიონერებმა შუამდგომლობა უნდა სთხოვონ მინისტრს ანუ კონსულს იმ სახელმწიფოსას, რომელსაც ეპყრა მიანდო მფარველობა სარწმუნოებისა. ეს მინისტრი ანუ კონსული, საჭიროების კვალობაზე, მოლაპარაკებას გამართავს ცუნგ-ლი-იამენთან ანუ ადგილობრივ მოხელეებთან. ადგილობრივი მთავრობა ვალდებულია დაუყოვნებლივ და მშვიდობიანად განიხილოს კათოლიკეთა სამდვდელოების განცხადება და დონისძიება იხმაროს, რათა ადგილობრივნი მკვიდრნი მშვიდობიანად და თანხმობით სცხოვრობდნენ მისსიონერებთან. მისიონერები, როგორც ბრძანებაშია ნათქვამი, კეთილად იქცეოდნენ და კათოლიკეთა სარწმუნოების ეპტივი და სახელი უნდა დაიცვან, რათა ხალხი კმაყოფილი და მადლიერი იყვეს.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ზნეობაზე.

ოქროსის კერა

ძაძა კაცი და დედაკაცი.

I.

(რუსულიდან)

დედები.

დასასრული *

გუნური და შემცდარი იყო ის ხალხი, რომელსაც დამონავებული და შევიწროვებული ჰყავდა მდედრის სქესი. ვაჲ იმ ერს, სადაც დედაკაცები ისე ლოცულობენ და ისეთ ლოცვებს იზეპირებენ, რომლებსაც, როგორც ამბობენ, ინდოსტანში ასწავლიან თურმე დედაკაცებს: „ოხ, ვიშნავ! მომხედე და ნუ მომცემ ქალსა, ვინაიდგან დედაკაცის ცხოვრება-მდგომარეობა აუტანელი და მწარეა“.

შავია იმ ერის მომავალი სადაც:

„წინასწარმეტყველური თანაგრძნობით გამსჭვალული დედები თავიანთ შვენიერთ პატარა ბალღებს ნაკადებში ყრიდენ“.

იქნება წინააღმდეგ ამისა მოიყვანოთ ის ფაქტი, რომ თუმცა ძველად ბერძნები ფიზიკური სიმშვენიერითა და გონებრივი ძალღონით მდიდრად დაჯილდოებულს ერს წარმოადგენდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა ათინაში დედაკაცებს ძალიან მდაბალი და უმნიშვნელო მდგომარეობა ჰქონდათ მინიჭებული,

* იხ. „მწყემსი“ № 7, 1899 წ.

ან სიტყვა, რომელიც პერიკლმა წარმოსთქვა სამის წლის შემდეგ პელოპონესის ბრძოლისა, ბრძოლაში დახოცილთა სახსოვრად. პერიკლი სამაგალითო დედაკაცად იმას სთვლის, რომელიც არც ცუდი და არც კარგი თვისებით არ იჩენს თავს. მაგრამ ამის პასუხად იმას მოგახსენებთ, რომ ათინელი დედაკაცები არც იმდენი შეურაცხყოფილნი და ათვალწუნებულნი იყვნენ თავიანთი მდგომარეობით, როგორც ბევრს ჰგონია.

ბევრ გამოჩენილ დედაკაცთა სახელი იყო გათქმული და პატივცემული, და თუმცა უმეტესი ნაწილი ათინელ დედაკაცთა კარჩაკეტილ ცხოვრებას ატარებდა, მაგრამ სამაგიეროდ ოჯახში დიდი ზედგავლენა ჰქონდათ სახლობის წევრებზედ.

საბერძნეთს დიდხანს არ შერჩენია თვისი დიდება, უეჭველი მიზეზი მისი ისე ადრე დაცემისა ის იყო, რომ საბერძნეთი ვერ მიხვდა და ვერ გრძნობდა თუ რაში მდგომარეობდა დიადი მნიშვნელობა დედათა სქესის ბუნებისა.

ადვილი შესაძლებელია, რომ ამ შემცდარმა და მდაბალმა შეხედულებამ დედაკაცთა მნიშვნელობაზე გარყვნა ზნეობა აღმოსავლეთისა, შეაფერხა განათლების გავრცელების საქმე უვიცსა და სიცოცხლეს მოკლებულ აღმოსავლეთის სახელმწიფოებში, და მთელი საუკუნეებით შეაჩერა და უკან დასწია ურიცხვ ერთა განვითარება. ამის დასასაბუთებლად საკმარისია მოვიგონოთ შემცდარი აზრი ჩინეთისა, ცალმხრივი შეხედულება ებრაელთა ერისა, ცდომილება სპარსეთისა, საბერძნეთისა, რომისა და ბრმა თაყვანისცემა საშუალო საუკუნეების რაინდებისა.

სამის გზით შეუძლია დედათა სქესს შეჰქმნას დიდებული მომავალი კაცობრიობისა.

1. პირველად ამ მიზნის მისაღწევად უნდა სცდილობდენ, რომ თავიანთი ვაჟებისა და ქალების სიყმაწვილე იმდენად სწორად და ბედნიერად გავიდეს, რამდენადაც ხელს უწყობს გარეგანი გარემოება. სწორედ შვენიერი ანდერძია: „მიეცით სიცოცხლის განთიადს შესაფერი ნეტარებაო“. ის მამაკაცნი და დედაკაცნი დასწაფებიან მხოლოდ ტკბილსა და დამათრობელ ცხოვრების წყაროს, რომელთაც სიამოვნებით აგონდებათ თავიანთი ბედნიერი სიყმაწვილე; მხოლოდ ამათ უგემებიათ სიტკბოება და ეს გარემოება არამც თუ სულისა და გულის სიღრმეში დაუტოვებს მათ გამომაცოცხლებელს ნაბერწკალს, არამედ გაამხნევებს და გამოაფხიზლებს ისეთ წუთებშიაც, როდესაც სასოწარკვეთილებაში ვარდება ადამიანი და ამბობს: „ამიერიდან ცხოვრება ველარ მომიტანს სიხარულს და სიამოვნებასო“.

თითოეულმა დედამ უნდა მოიპოვოს ან შეითვისოს უნარი თვისი შვილებისათვის ბედნიერების მინიჭებისა. მაგრამ წიგნებიდან ვერ ამოიღებს ამ მადლს. მას დაუმკვიდრებს და შეუმუშავებს ის გრძნობა, რომელსაც მისი ღვთაებრივი თავგანწირვა დაბადებს მასში. სიღარიბე ამ შემთხვევაში არ შეაჯგნენს დაბრკოლებას. ბედნიერებას ყოველ დროს „ზეციერი ოკეანეს მარგალიტი შეადგენს და არა ინდოეთის ზღვისა». მაგრამ თუ დედას ისე ღრმად უყვარს შვილები, რომ „ყოველ ღღე ზეცას ასვლასაც“ აბედვინებს გული, ის დარწმუნებულია, რომ იქიდან მართლა მოიტანს იმ მარგალიტს და გაუყოფს თავის პატარა შვილებს.

2. მეორე გზა ამ მიზნის მისაღწევად—მნებებლობის აღზრდაა. უფრო მეტად დამღუპველი და მომწყლველი არ არის რა, როდესაც ზოგი მშობლები სცდილობენ ჩაუქრონ ბავშს მნებებლობა. ხშირად ამ გვარი ცდა უნაყოფოდ ჩაივლის ხოლმე, ვინაიდგან ნებებლობა, თუნდ ბოვშის იყვეს, იმდენად მტკიცე შეურყეველია, რომ არავითარ გარეშე ძალას არ ემორჩილება. იქნება ზოგჯერ შეიძლონ და აღუზარდონ ბავშს სრული და უხმო მორჩილება, მაგრამ ამისაგან უფრო მეტი ზარალი წარმოსდგება, ვინემ სარგებლობა. ქ-ნი მარტინო ამტკიცებს მის სახელ განთქმულ თხზულებაში „შინაური აღზრდა“, რომ ბავშის ნებებლობის ჩაქრობა იმდენად საფრთხილო და მავნებელია, რამდენადაც მთელი დანარჩენი სურვილების გაზვიადებაო. ამის დასასაბუთებლად მას ერთი საგულისხმო ფაქტი მოჰყავს. ერთი პატარა ბავში სიკვდილის პირას მიდგა და კინალამ მთლად დაჰკარგა გრძნობა შიმშილისაგანო. მიზეზი ამისა ის იყო, რომ მამას უნდოდა, რაც უნდა ყოფილიყო, ის პურის ნაჭერი შეეჭმევინებია, რომელიც ბოვშმა დაიწუნა და არ ინდომა. ამ ძალ დატანებამ ის პურის ნაჭერი საზიზღრად და საშინლად წარმოუდგინა ბავშს.

ბავშის ნებებლობა, განაგრძობს ის, გარეშე პირთა სურვილებისამებრ კი არ უნდა იწვრთნებოდეს და იზრდებოდეს, არამედ თითონ ბავშის ნიჭის განვითარებას ეთანხმებოდეს და ჩვენ ყოველთვის სიყვარულით უნდა ვეპყრობოდეთ. როდესაც ბავში

ხედავს, რომ არც მუდამ უსრულებენ მის სურვილებს და არც მუდამ ეწინააღმდეგებიან, მაშინ თითონ ეჩვევა მორჩილებას და ზომიერებას. ეს ჩვეულება ძირს იდგამს მასში და მწიფდება მანამდე, სანამ ის არ გაიზრდება და თავის თავად იწყებს ცხოვრებასო.

3. ახლა მე იმ მესამე გზას დაგისახელებთ. ეს სარწმუნოებრივი გრძნობების, სრულ არსებათა და უკვდავ ჭეშმარიტებათა შეთვისება-შესისხლხორცებაა ბავშობაშივე. ამასთან უმეტესი დრო სარწმუნოებრივად აღზრდის დროს იმას უნდა ხმარდებოდეს, რომ ბავშს როგორმე აღუზარდონ და შეუმუშაონ მტკიცე ხასიათი, პატიოსანი ყოფაქცევა თანახმად ზნეობრივი მოთხოვნილებისა და კანონებისა. მაგრამ ყველაზედ უფრო სუსტი, მავნებელი ზედგავლენა აქვს ბავშის გონებაზე ფარისევლურ მორწმუნეობას, „წესების“ დაუდევნელად და უპატივცემულოდ ასრულებას. ამ შემთხვევაში ეს მარტო გარეგანი სახე (форма) უნაყოფო და გულის ამცრუებელია ბავშისათვის. ის ვერ ხედავს ამ გარეგანის სახის შინაარსს მშობლების ცხოვრებაში. თუ ბავში ხედავს მშობლების ცხოვრებაში ორმეტ საამურ ნაყოფს სულისას, რომლებიც ცხოვრების ხეზედ მწიფდებიან, თუ ის ამჩნევს, რომ მათი მშობლების სარწმუნოება თითოეულ მათ სიტყვაში, მოქმედებაში იხედება, ამ სარწმუნოების ნაყოფი მათი ცხოვრების სიწმიდეთანაგრძნობა და თავდადებაა, თუ მას სიცოცხლეში მშობლების ნათელი ცხოვრება მაგალითად დაედება, მაშინ ეჭვი არ არის, რომ მას შეაქვს თვის არსებაში გარკვეული თვით გრძნობიერება და ძვირფასი სამკვიდრო.

პროფესორმა გეკსლიმ აღნიშნა და სცნო მარგებელი ღირსება სამღრთო წერილისა, როგორც ისეთი წიგნისა, რომელიც თვალ წინ გვიყენებს და გაგვაცნობს კაცობრიობის ყველა ტომთა, რომლებიც მრავალ თაობად დაყოფილნი ხან მოკლედ გამოდიოდენ ქვეყნიური ცხოვრების ასპარეზზე, შეადგენდენ წევრებს კაცობრიობის დაუსრულებელი მოძრაობისას, რომლებსაც დაუმსახურებიათ კურთხევა ან წყევა ყველა ხალხთაგან იმის და მიხედვით, სიკეთეს სთესვიდენ თუ სიავეს. მაგრამ პატიოსანი და გულკეთილი მშობლების შვილებს, თუ კი სურთ რომ წმიდანებს მიემზგავსონ, თილისმა უნდა ჰქონდეთ ცუდი მაგალითების წინააღმდეგ საბრძოლველად

„მე მასულდგმულებდა მარად ჟამ ის, რომ სარწმუნოებრივი აღზრდა მქონდაო, სთქვა სახრჩობელაზე ლორდ რუსსელმა, ვინაიდგან, თითქმის იმ წუთებშიაც კი, როდესაც ვივიწყებდი მას, ის ჩემთან იყო მაინც და ჩემს თავს მაგონებდაო».

მოგვყავს კიდევ ორი მაგალითი.

ბევრი უკეთესი, უდიდებულესნი და უნიჭიერესი ადამიანები გრძნობდენ, რომ დიდად დავალებულნი იყვნენ დედებისაგან. მათ შორის დავასახელებთ ისეთ დიდებულ პირებს, როგორიც იყვენ მეფე ალფრედ ინგლისელი, წმ. ლიუდოვიკი, მსახიობი ფრანსუა მილლე, სახელმწიფო მოღვაწენი ვაშინგტონი და გარფილდი, მწერლები სერ დჟონი და გეტე. კორდელსა და მის მსგავსთ დედაკაცებს გრაკხოვები ყავთ შვილებათ, მაშინ როდესაც ისეთ დედაკაცს, როგორიც აღრიპპინა უმცროსი იყო, ნერონები ებადება.

როგორც წარსული, ისე თანამედროვე თაობის ცხოვრებიდან ბევრ თვალსაჩინო მაგალითებს დაგისახელებთ იმის დასასაბუთებლად, თუ რა ბოროტების ან სიკეთის მოტანა შეუძლია დედას ყმაწვილისათვის. არ დაგისახელებთ არც ყველაზედ უსაზიზღრეს მაგალითებს დედების ზედგავლენისას შვილებზედ, რომლებსაც ისტორია გადმოგვცემს, არც იმგვარ დედებს, რომლებსაც დედობრივი გრძნობები არ უღვივოდათ, არც იმ დედაკაცებს, რომლებიც ჩირქს სცხებენ თავიანთ დედობრივ ღირსებას. მაგრამ ისედაც შეიძლება დედამ ჩაუღუპოს შვილებს ის საუნჯე, რომელიც უფალმა მიანიჭა მათ, თუ გონიერება და თავის-თავის დამორჩილების უნარი არ შესწევს. ვინ იცის, რა ცუდი ზედგავლენა იქონიეს ბაირონის ხასიათზე დედის ჟინიანობამ, უგუნურებამ და გულის ნდომამ. „ბუნებით ჟინიანი და გრძნობიერი დედაკაცო, ამბობს ლესლი სტეფანსი, ხან მეტის-მეტი სინაზით ეპყრობა შვილებს და ხან კი მეტის მეტი სიმკაცრით. ტანად დაბალი იყო, ხორცი სავსე, ხშირად უჯავრდებოდა შვილს, რომელიც სამაგიეროდ დასცინოდა დედის გულფიცხელობას. ერთხელ ამხანაგმა უთხრა სკოლაში: დედაშენი სულელიაო. „მეც ვიცი ესო“, უპასუხა ბაირონმა. ამბობენ, რომ მეორე ამ გვარმა შემთხვევამ წარმოუდგინა ის იდეა, რომელიც გამოსთქვა „ფერცვლეი მახინჯი“-შიო. ერთხელ გაჯავრებულმა დედამ ჯოჭლი პირუტყვი უწოდა. „მე ამ

სახის დავიბადე, დედა ჩემოო“, უპასუხა შვილმა. 1806 წელს დედა წაეჩხუბა ბაირონს და მაშა და ჩეკი ესროლა თავში. ამის შემდეგ ლონდონში მიჰყვა ბინაზედ. იქაც ჩხუბი აუტყდათ, რომელიც მისი მტრის—დედის დამარცხებით დასრულდა.

ახლა ძეორე მაგალითს მოგახსენებთ: რესკინი მუდამ სიყვარულით იხსენიებდა დედას და დარწმუნებული იყო, რომ დიდად დავალებული იყო მისგან. დედამ იშრომა მასზე, გამოზარდა ისეთი სისტემის მიხედვით, რომელიც თუმცა ბევრის მხრით მკაცრი იყო, მაგრამ მაღალს სარწმუნოებრივსა და ზნეობრივ პრინციპებზედ იყო დამყარებული.

„დედა ჩემიო, ამბობს ის, იძულებას მაყენებდა რომ ყოველ დღე თითო თავი საღმრთო წერილისა ზეპირად დამესწავლა, ხოლო წელიწადში ერთხელ წამეკითხა ზეპირად მთელი საღმრთო-სჯული „დაბადებიდან« დაწყებული «გამოცხადებამადეო». მისმა მოთმინებამ, მუყაითობამ და ბეჯითობამ არამც თუ საღმრთო წერილი გამაცნო, რაც დიდი გამოსადეგია, ჩემის აზრით, ყველა კაცისთვის ცხოვრებაში, არამედ შრომის უნარი და სიყვარულიც შემძინაო. სწორედ იმ წვრთნამ შემიმუშავა ლიტერატურული გემოვნებაო“.

„მკაცრ მორჩილებას ითხოვდა ჩემგან დედაო, ამბობს მეორე ადგილს რესკინი, მაგრამ ამავე დროს მხურვალე სიყვარულით მიფარვიდა ყოველი ცუდი ზედგავლენისაგან. საოცარი ერთგულებით სცდილობდა ჩემს ზნეობრივად და გონებრივად აღზრდას, სასტიკად მიფარვიდა მავნე და გამხრწნელ სიამოვნებისაგანო“. კარლეილიც ამ ბევარი აღტაცებით იხსენიებს დედას, გლეხი კაცის ქალს. სხვა ფრივ იქცევიან დანარჩენნი დიდებულნი კაცები, რომლებიც სიმდაბლისა და დედის კიდევ მეტი პატივისცემისთვის არ იხსენიებენ დედის ღიად ხარკს და ამბობენ: „თუ რაიმე ნაყოფი გამოვიღე ცხოვრებაში, ეს მთლად დედა ჩემის წყალობით იყოო“.

მღ. დ. ჩხაიძე.

სასელმძღვანელო, საყურადღებო, საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება.

მკადავითნეთა საყურადღებოდ.

1, გახსოვდეს კიევის კრების დადგენილობათა მეათე §, და ყველა ეკკლესიური სამსახური და ყველა წესები აღასრულე ეკკლესიური წეს-რიგის დაცვით, კრძალულებით და შვენიერად, წაიკითხე და იგალობე აუჩქარებლად, დაიცევ კითხვისა და გალობის დროს ძველი ეკკლესიური წესი; უმთავრესად ნუ აჩქარდები, როცა წმინდა ლოცვებს კითხულობ! ვინ მოგდევს უკან? სად მიეჩქარები? ნუ თუ შენ გენანება, რომ მთელ კვირაში ერთი საათი მოახმარო გულს მოდგინე, გონიერს და გულითად ღვთის ვედრებას? შეიგნე, ნუ გააჯავრებ უფალს, ნუ დაამცირებ ლოცვას, ნუ აკთუნებ ხალხს და ნუ ჩქარობ.

2, ისე წაიკითხე, რომ პირველად შენ თვითონ გესმოდეს, რასაც კითხულობ, რათა შენ მიერ წაკითხულმა ლოცვებმა და ფსალმუნებმა პირველად თვითონ შენს გულში აღძრან ღვთის ვედრების სურვილი, რომ შენ მარტო პირით და ენით კი არ ლოცვილობდე, არამედ გულით.

3, შენს შემდეგ ნუ დაივიწყებ ხალხსაც, რომელიც დგას წმინდა ტაძარში; ისე წაიკითხე, რომ შენი კითხვა გაიგონ მლოცველებმაც, რათა მათთაც შენთან ერთად, რომელიც მლოცველებს წინ უდგიხარ, ერთითა პირითა და ერთითა გულითა ილოცონ და ადიდონ უფალი; ამიტომაც ვიკრიბებით ჩვენ ტაძარში.

4, თუ კარგად არ იცი კითხვა, მაშინ ეცადე, რომ სახლში ხშირად იკითხო საღმრთო და საეკკლესიო წიგნები, რომ ტაძარში ყოველთვის შეგეძლოს ამ წიგნების კითხვა კეთილ კრძალულებით, გარკვევით და ყველას გასაგებად.

5, როცა სხვა კითხულობს და ცდება, ხმამაღლა ნუ გაუსწორებ მას შეცდომას ღვთის-მსახურების დროს, რომ ამით მლოცველების მყუდროება არ დაარღვიო, შენ თვითონ დაიხსომე ეს შეცდომა და ღვთის-მსახურების გათავების შემდეგ უთხარი მას ჩუმად.

6, იმათ, რომელთაც კითხვა არ იციან, სრულებით არ უნდა წააკითხოთ, ვიდრემდის ისინი სახლში არ მიეჩვევიან კარგად და კეთილ-კრძალულებით კითხვას.

7, ღვთის-მსახურების დროს ისე არ უნდა დაახველო, რომ მთელს ეკკლესიაში გაისმას ხმა, არ უნდა ილაპარაკო, მით უმეტეს არ უნდა გაიცინო: ვინაიდგან თუ თქვენ კი, მკითხველნი და მგალობელნი იწყებთ ლაპარაკს, სიცილს და ხმაურობას, მაშინ როგორღა ილოცავს ხალხი, რომელიც შეიკრიბა ტაძარში, რათა თქვენთან ერთად შეეევედროს ღმერთს?

8, თუ ვინიცობაა, რომ ღვთის-მსახურების დროს დაგჭირდეს ტაძარში გავლა, ნუ აჩქარდები, ხალხს ნუ წაჯეგავ, უმთავრესად ეცადე, რომ ფეხი ფრთხილად დაადგა, რომ წალის ქუსლების ხმა არ გაისმას, გაიარე ჩუმად, წყნარად კეთილ-კრძალულებით, რომ შენგან მლოცველებმაც ისწავლონ ტაძარში დგომა და გავლა-გამოვლა ღვთის-მსახურების დროს.

9, ეცადე, რომ გალობითაც იგალობო გონიერად და წმიდის გულით, რათა შენმა გალობამ მლოცველთა გულში აღძრას ღვთის ვედრება.

10, იგალობე ისე, რომ სიტყვები ესმოდეს კაცს; ნუ ჩქარობ.

11, გალობის კილოს ნუ შესცვლი შენი ნებით: ვთქვათ, დღეს ერთი რომელიმე საგალობელი იგალობე ერთ კილოზე, მეორე დღეს ამავე საგალობელს სულ სხვა კილოზე გალობ, ამის გამო გარეშე პირს არ შეუძლია გალობა შეისწავლოს

12 იკითხე და იგალობე ყოველთვის ერთ-გვარი კეთილ-კრძალულებით და მუყაითობით, მიუხედავად იმისა ბევრი ხალხია ტაძარში თუ ცოტა; შეიძლება ტაძარში მარტო მღვდელი, შენ და ყარაული იქნეთ, მაგრამ შენ მაინც ბეჯითად და კეთილ-კრძალულებით შეასრულე შენი მოვალეობა; ასე უნდა მოიქმედო, რადგან შენ ემსახურები ღმერთს და არა ხალხს; შენ ფსალმუნებით და სასულიერო საგალობლებით უწოდებ ხალხს ღვთისადმი და ასწავლი მათ იცხოვრონ ღვთის სასიამოვნოდ, და როცა რაიმე მიზეზისა გამო ანუ საქმის დღეებში ტაძარში მლოცველები არ იქნება, მაშინ უფრო ვალდებული ხარ შენ მათ მაგიერ კრძალულებით შეევედრო უფალს.

13, თუ კი ვინმე მოიპოება ისეთი, რომლისაგან შეგიძლია შეისწავლო კარგი და კეთილ-განწყობილი გალობა, ნუ დაიზარებ უფრო კარგად შეისწავლო გალობა. აგრეთვე უყურადღებოდ ნუ გაუშვებ მცოდნე პირთა რჩევა-დარიგებას.

14, როცა მღვდელი გითითებს შენ რაიმე შეცდომაზე ანუ ნაკლულევანებაზე, ნუ გაჯავრდები, ნუ გაიბუტები და ნურც წინააღმდეგობას გაუწევ მას, არამედ მოისმინე და გაისწორე შეცდომა, ვინაიდგან მღვდელი ვალდებულია გაგისწოროს შენ შეცდომა; თუ მღვდელმა არ გიჩვენა შენი შეცდომა, მაშინ იგია პასუხის მგებელი.

15 საზოგადოდ რჩევანი და განკარგულებანი მღვდლისა ეკკლესიის შესახებ სიხარულით და სიყვარულობით აღასრულე, ვინაიდგან შენ ასრულებ ღვთის საქმეთა.

16, კეთილი, გამგონე, ღვთის საქმის მოსიყვარულე და გულსმოდგინე მკითხველნი და მგალობელნი აკურთხოსმცა უფალმა და შეეწიოს მათ, რათა უმეტესად შეისწავლონ თავიანთი საქმე, რომ იგინი ღირსი გახდნენ მოისმინონ უფლისგან სასურველი სიტყვები: „კეთილ მონაო, სახიერო და სარწმუნოო! მცირედსა ზედა სარწმუნო იქმენ, მრავალსა ზედა დაგადგინო შენ; შეეედ სიხარულსა უფლისა შენისასა“ (მათ. 25 21). ხოლო დაუდევარნი და ზარმაცნი ნუ დაივიწყებენ წინასწარმეტყველის სიტყვებს: «წყეულ არს კაცი, რომელიც უდებებით ასრულებს ღვთის საქმეთა“. ამიტომ თავს ნუ დაიღუპავთ, ცოდვაში ნუ აგდებთ ხალხს, გასწორდით და აღასრულეთ საქმენი ღვთისა შიშით და კეთილ-კრძალულებით.



საეჭვო კითხვების განმარტება.

კითხვა. აქვს თუ არა უფლება სემინარიის რექტორს, რომ იგი თავმჯდომარეთ იქნეს დანიშნული ეპარქიალურ საქალაქო სასწავლებლის საბჭოში, ანუ კანსისტორიის წევრს ამავე სასწავლებლის რჩევის წევრად მყოფობისა?

მიგება. უკანასკნელს არა აქვს უფლება დანიშნულ იქმნეს საეპარქიო საქალაქო სასწავლებლის რჩეის წევრად; რაიცა შეეხება პირველს, არც იმას აქვს უფლება ზემოხსენებული სასწავლებლის რჩევის თავმჯდომარედ იქნეს დანიშნული, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ამ კითხვის გადაწყვეტა ეკუთვნის ადგილობითი მღვდელთ-მთავარს.

კითხვა. საჭიროა თუ არა, რომ კლიროვის უწყებაში ნაჩვენები იქნეს მედალი, ბოძებული მღვდელ მოსამსახურეთადმი სახსოვრად იმპერატორის ალექსანდრე მესამისა და აგრეთვე მედალი, ბოძებული საზოგადო ერთ-ღლიური აღწერილობის საქმეში მონაწილეობის მიღებისათვის?

მიგება. ჩვენის აზრით არც ერთი ეს მედალი არ უნდა იქნეს მოხსენებული კლიროვის უწყებაში, რადგან ეს ნიშნები ნაბოძები აქვსთ მღვდელ-მოსამსახურეთა მოსაგონებლად იმპერატორის ალექსანდრე მესამის მეფობის დროისა და არა ერთგული სამსახურისათვის.

კითხვა. არის თუ არა დაბეჭდილი კატალოგები საბლაღოჩინო და საეკკლესიო წიგნთ საცავებისათვის, რომ კაცმა შეიტყოს ამ წიგნთ-საცავების მდგომარეობა?

მიგება. თუ რა წიგნები უნდა იქნეს საბლაღოჩინო და საეკკლესიო წიგნთ-საცავებში, ეს ნაჩვენებია ბლაღოჩინთა დარიგებათა პირველი მუხლის შენიშვნაში. აგრეთვე მიტრაპოლიტის ფილარეტის მიერ შედგენილი მთელი სია ამ წიგნებისა უწმიდესის სინოდის უქაზთან ერთად დარიგებულია ყველა ეპარქიებში.

კითხვა. შეიძლება თუ არა, რომ ერთაღმსარებლის მღვდელი (Единовѣрческій) დანიშნულ იქმნეს საღმრთო სჯულის მასწავლებლად საერობო სკოლაში სამუდამოდ, ანუ დროებით შტატის მასწავლებლის მაგიერ?

მიგება. არავითარი დამაბრკოლებელი მიზეზი არ არის, რომ ერთ აღმსარებლის მღვდლები დანიშნულნი იქმნენ საღმრთო სჯულის მასწავლებლად საერობო სკოლებში სამუდამოდ ანუ დროებით შტატის მასწავლებლის მაგიერ, ვინაიდგან ამ მღვდლებს ხშირად სწავლა აქვსთ დამთავრებული იმავე სასულიერო სასწავლებლებში.

კითხვა. აქვსთ თუ არა უფლება მაზრის ქალაქის ეკკლესიის მედავითნეს, რომ თავისი პირდაპირი სამსახურის გარეშე დროს რაიმე თანამდებობა აღასრულოს რომელიმე სამოქალაქო დაწესებულებაში?

მიგება. ბევრ კანსისტორიებში მოსამსახურეთ და მწერლებათ არიან ქალაქის ეკკლესიების მედავითნენი. მაგრამ ამ თანამდებობაზე მწესდებიან ისინი მხოლოდ მღვდელ მთავრის ნებართვით. მაშასადამე მაზრის ქალაქებშიაც მედავითნეთ შეუძლიანთ სამოქალაქო უწყებაში რაიმე სამსახურის დაჭერა, მაგრამ მხოლოდ ადგილობითი მღვდელ-მთავრის ნებართვით, რომელიც დაფუძნებული უნდა იქნეს ეკკლესიების წინამძღვრების მოხსენებაზე, რომ მედავითნეს გარეშე სამსახური ხელს არ შეუშლის მისი პირდაპირი მოვალეობის აღსრულების საქმეში.

კითხვა. შეუძლია თუ არა მთავარ—დიაკონს, რომელმაც დაიმსახურა პენსია საერო განათლების სამინისტროში, მიიღოს პენსია, კიდეც რომ მან თავი დაანებოს მთავრობას და სასულიერო წოდებიდამაც სრულიად გამოირიცხოს?

მიგება. კანონმდებლობაში არ არის ნაჩვენები, რომლის ძალითაც მსგავს პირს სასულიერო წოდებიდან გამორიცხვის შემდეგ ესპობოდეს ხსენებული პენსია, ვინაიდგან ერთად ერთი მიზეზი, რომლის ძალით მღვდელ-მოსამსახურე კარგავს პენსიას—არის ბერად აღკვეცა (მუხ. 355 კან., ტ. 9).

კითხვა. თუ ზნეობითი მხრით რაიმე დამაბრკოლებელი მიზეზი არ არის, შეიძლება თუ არა ბერად აღიკვეცოს პირი, რომელსაც სწავლა დაუმთავრებია სასულიერო ოთხკლასიან სასწავლებელში და შობიდან არის 27 წ.?

მიგება. კანონთა კრების მე-344 მუხ. ძალით, ტ. IX, გამოც. 1876 წ. ბერად აღსაკვეცი უნდა იყოს: კაცი 30 წლისა, ხოლო ქალი—40 წ. ამ საზოგადო წესის შეცვლა შეიძლება უწ. სინოდის

უქაზის ძალით 20 ივნისიდგან 1832 წ. № 6,012 (П. С. З. № 5399) მხოლოდ იმ პირთათვის, რომელთაც დაამთავრეს სრული ღვთის-მეტყველების კურსი, და სახელდობრ: ისინი შეიძლება აღკვეცილ იქმნენ ბერად 25 წლის რომ შეიქნებიან, სხვა შემთხვევაში, როცა საჭირო ხდება ბერად აღკვეცა რომელიმე პირისა სამი წლის გამოუცდელად ანუ 30 წლის შესრულებამდე, საჭიროა გამოთხოვნილ იქნეს ნება-რთვა უწმ. სინოდისა [ნახ. დადგენილობა 11 ივნისიდგან 1722 წ. სასულიერო უწყებაში მოხდენილ განკარგულებათა სრულს კრებულში მუხ. 671).

შეწირულებანი.

I

მამაო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, რომ თქვენი პატივცემული გაზეთის „მწყემსის“ საშვალებით გულითადი მადლობა გამოვუცხადოთ, როგორც მე, აგრეთვე რწმუნებულის ჩემდამო მონასტრის კრებულმან და დანებმა სოხუმის ეპარქიის და სოფლისა ოტობაიას ეკლესიის მღვდელს მამა სპირიდონ რურუას, რომელმაც შემოსწირა რწმუნებულს ჩემდამო თეკლათის დედათა მონასტერს ასი მანათი ფული.

წინამძღვარი თეკლათის დედათა მონასტრისა
იდუმენია ათანასია.

II

ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, მომცეთ ნება, რომ თქვენის გაზეთის «მწყემსის» საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადო ბ. ქუთაისის ქალაქის მოურავს ლ ლოლუას და ბ. ექიმს ს. ბ. თოფურიას, რომელთაც ალმომიჩინეს ძლიერ ავადმყოფობაში ჯეროვანი შემწეობა და დამიხსნეს სიკვდილისაგან.

მარტვილის ბირველი კლასის მონასტრის მონაზონი
სიმონ ინტკირველი.

რედაქციის პასუხი.

საბა ფრუიძეს. გადაათვალიერეთ „მწყემსი“-ს ნომრები ძველი წლისა და თქვენი კითხვის განმარტებას იქ შეხვდებით.

ვლად. ეფდ. ჯანიკოვს. ორ აბაზიანი წიგნის ფასადებით გაგზავნა არა ღირს. გამოგზავნეთ ფული და რასაც დაიბარებთ, უთუოდ მიიღებთ.

ერთ მრევლთაგანს. თქვენ გირჩევთ მიიქცეთ მართებლობისადმი საჩივრით და დარწმუნებული ვართ, რომ თქვენი მრევლის მღვდელს მ. ო. სა—ძეს ფიცხლად აღეკრძალება თავისი ბედაურის შეშვება და ბალახობა შერაგულს სასაფლაოზე ამოსულ კოლინდარში.

ლ. ლ. ჩო—ძეს. თქვენმა წერილმა ნაბუქოდონოსორის სიზმარი მომაგონა. იწერებით: „მე მთხოვენ წარვადგინო იმ სტატიების სია, რომელსაც ბეჭდავდით რუსულ და ქართულ ჟურნალ-გაზეთებშიო. მე ვბეჭდავდი „მწყემსში“ 1895—36 და 87-შიო და თხოვილობთ შეგატყობინოთ, რას ბეჭდავდით და ან რის შესახებ? ამის გამოსაცნობათ ხომ არც მოგვები და არც წინასწარმეტყველები არ იქნებიან საჭირონი. გადაათვალიერეთ ხსენებული წლის „მწყემსის“ ნომრები და სულ ადვილად შეიტყობთ. თუ რას ბეჭდავდით...

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.

ს. მ. ბ. თოფურიას საავადმყოფოსაგან.

ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲔᲑᲡ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲔᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ

შუადღის 12 საათიდგან ნაშუადღევის სამ საათამდის.

ს. მ. ბ. თოფურია

მიიღებს შინაგანი და ყმაწვილების სნეულებით ავადმყოფებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოქტორი ფ. კ. გერრასტი მიიღებს ხირურგიულის, ვენერიულის გარეგანი ⅆ თვალის სნეულებით ავად-მყოფებს

ექიმი ქალი მ. თ. კაგანი მიიღებს საბებიო და ქალის სნეულებით ავად-მყოფებს.

მომსვლელი ავადმყოფების მიღებაში ფიცხლად არის დაცული რიგრიგობით მიღება; ბავშები და მძიმე ავადმყოფნი კი რიგის გარეშეთაც მიიღებიან.

რჩევისათვის გადიხდიან ათ შაურს.

სამკურნალოს ყველა ექიმებიდგან შემდგარი რჩევა იქნება ყოველ დღეს ორიდგან—სამ საათიდის და ელირება სამი მანეთი.

ოპერაციების ფასი დამოკიდებულია ექიმთან მოლაპარაკებასა და შეთანხმებაზედ.

დღიური ფასი 2—3 მანეთამდე.

შარდის და ნახველის ანალიზი.

შარდის ანალიზი ღირს 1 მან.

ნახველის ანალიზი ღირს 2 მან.

სავადმყოფოში შემსვლელთ ექიმების გასინჯვის შემდეგ შეუძლიათ მიღების პირობების შესატყობად მიიქცენ სამკურნალოს კანტორაში.

ნათესავები სავადმყოფოში მყოფ ავადმყოფთა, ან მათი მახლობელნი, ნაც ნობნი, რომელთაც სურთ პირადად ნახვა სამკურნალოს დირექტორისა უნდა მობრძანდენ მომსვლელთა სამკურნალოში ნაშუადღევის მესამე საათზე და თვით სავადმყოფოში სადამოის ექვს საათზე.

წესი ავად-მყოფთათვის,

რომელნიც სარგებლობენ ს. მ. ბ. თოფურიას სავადმყოფოით, რომელიც იმყოფება მისი უმაღლესობის ბრინცის ალექსანდრე ბ. ოლდენბურსკის მეურვეობის ქვეშ.

სავადმყოფოა 50 ლოგინით, მიიღებიან ყველ ავადმყოფნი, გარდა გარდამდებისა.

1. ავად-მყოფმა სამკურნალოში შესვლისათანავე წინ-და-წინ უნდა გადიხადოს ნახევარი იმ ფულისა, რაც შეხვდება ერთხელვე დადგენილის ფასისდა-გვარად და შემდეგ კი ყოველი ორი კვირის გასულს ვალდებულია გადიხადოს ხვედრი ფული სამკურნალოში ყოფნის და აქიმობისათვის.

2. ოპერაციებისათვის ფულის გადახდა დამოკიდებული იქნება ექიმთან მოლაპარაკებაზედ და უნდა გადიხადოს ავად-მყოფმა სამკურნალოში შესვლამდის წინ-და-წინ.

3. ავად-მყოფებმა უნდა დაიცვან სამკურნალოში დადგენილი წეს-წყობილება და სხვა ავადმყოფებს არ უნდა დაურღვიონ მყუდროება და მოსვენება.

4. ქალალდის თამაშობა სამკურნალოში აღკრძალულია.

5. ავად-მყოფებს მხოლოდ დანიშნულს დროს და ისიც დირექტორის ნებართვით შეუძლიათ სამკურნალოდან სხვაგან წასვლა.

6. ავად-მყოფების სანახავად მის ნათესავებს და ნაცნობებს შეუძლიათ მივიდნენ ყოველ დღეს 12 საათიდგან $2^1/_2$ საათამდე.

7. მნახველებმა არ უნდა დაურღვიონ ავადმყოფებს მოსვენება და მყუდროება. აგრეთვე არა აქვთ ნება, რომ დირექტორის ნების დაურთველად, ავად-მყოფებს მიუტანონ რაიმე საჭმელი, ან სასმელი.

8. ავად-მყოფსყოველ დროს შეუძლია გამოიწეროს სამკურნალოდან თავის ნებისაებრ. მძიმე ავად-მყოფებს კი მხოლოდ მაშინ გაუშვებენ სამკურნალოდან, როცა მისი რომელიმე ნათესავი ან მახლობელი იკისრებს მის მოვლას და მიღებას თავის თავზე.

9. ავად-მყოფმა სამკურნალოდან გამოწერის დროს უნდა გადაიხადოს სრულად საექიმოს ხვედრი ფული.

10. თუთუნის წევა სასტიკად აღკრძალულია.

ავადმყოფების ნახვა ზემოხსენებულ დროის გარდა (12—3 ს. დღისა) სასტიკად აღკრძალულია საავადმყოფოს დირექტორის **ს. მ. ბ. თოფურიას** ნებადაურთველად.

სამკურნალოს დირექტორი ს. მ. ბ. თოფურია.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. **დ. ღამბაშიძე.** Редакторъ-Издатель **П. Д. Гамбашидзе.**

Дозволено цензурою, Тифлисъ, 16 мая *1899 г.* ✦ *Цензоръ прот. Е. Еліевъ.*

Типог. редакціи журн. „**Пастырь**“ (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. бр. Хананoвыхъ, на Нѣмецкой ул.